ჩვენი რედაქცია ახალ მისამართზეა: მაჩაბლის 7. ტელ. 2 93 37 87.

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 აპრილი, 2015 წელი.

№73 (7718)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რას აშენებს ხოდორკოვსკი ასათიანზე ფსიქიატრიულის ნაცვლად?!

4

დიდი ინვესტიცია და ჩვენეული ჭორ-მართალი

ირაკლი ღარიბაშვილი:

დღეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ რეგიონების გაძლიერებაზე ვისაუბროთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მიერ წამოწყებული ახალი პროექტის „ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის“ წარდგინება ამჯერად მცხეთა-მთიანეთში გამართა.

როგორც პრემიერმა ადგილობრივ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განმარტა, აღნიშნული პროექტი რეგიონების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

„დღეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ გავერთიანდეთ და ვისაუბროთ ჩვენი რეგიონების გაძლიერებაზე. ეს ფორმატი არის საკმაოდ წარმატებული – მე-7 შეხვედრას ვმართავთ. თქვენ გაქვთ საშუალება, რომ მთავრობის წევრებს, პირადად მე დამისვათ შეკითხვები, ჩვენგან მოისმინოთ ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და იმ პერსპექტივებზე, რომელიც საქართველოს გააჩნია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, განსაკუთრებით გავააქტიუროთ რეგიონში პროცესები, იქ იყო მეტი აქტიურობა და ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობის მეტი ჩართულობა. ჩვენ, ხელისუფლება მზად ვართ, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოგიჩინოთ ბიზნესის კეთების პროცესში და მაქსიმალურად გაგიადვილოთ ის პროცედურები, რომელიც შესაძლოა, იყოს შემაფერხებელი. ვგულისხმობ ბარიერებს, რომელიც წარმოიქმნება გაუგებარი ბიუროკრატიის შემთხვევაში. რაც შეეხება უშუალოდ პროექტს „ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის“ ემსახურება შემდეგ მიზანს – დაიწყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება“, – მიმართა პრემიერმა გუდაურში შეხვედრაზე ადგილობრივ ბიზნესმენებს.

იხ. 4 გვ.

ტელევიზიაზე აღზრდილი თაობა

7

აფხაზებს ქართული კულტურის ძეგლების იუნესკოს ნუსხაში შეტანა სურთ

6

ვინ შესახლდება ათონელის 26-ში?

„ორბელიანთა სასახლის“ მესამე სიცოცხლე

3

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი: დღეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ რეგიონების გაძლიერებაზე ვისაუბროთ

(პირველი გვერდიდან)

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ დეტალურად შეისწავლა მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, აგრეთვე ეკონომიკური პოტენციალი და იცის, რა სჭირდება მცხეთა-მთიანეთს.

მისივე განმარტებით, ამჟამად 132 პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

„ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გუდაურის განვითარებას, მის ტურისტულ პოტენციალს. პირველ რიგში, გეტყვით, რომ წელს უკვე დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, რაც სათხილამურო სეზონს ზრდის. ახლა ვაპირებთ მეორე ფაზის დაწყებას. მეორე ფაზა ითვალისწინებს სასრიალო გზების „გუდაური 1“-ისა და „სპორტული 2“-ის ნაწილის გათოვლიანებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარეობს ხელოვნური ტბის მშენებლობა, რაც, ბუნებრივია, უფრო მიმზიდველს გახდის გუდაურს და ტურისტებს ზაფხულშიც მოიზიდავს.

გუდაურში შენდება აგრეთვე 2100-მეტრიანი 6-ადგილიანი საკვარძლის ტიპის საბაგირო; გაფართოვდა და ქვებისაგან გაიწმინდა სათხილამურო გზები; ეწყობა ველოპარკი და მიმდინარეობს გზების მარკირება, აშენდა სნოუპარკი, კურორტს უფასო სარგებლობისთვის დაემატა ახალი WI-FI წერტილები და ა.შ. — ამ რეგიონს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ.

ასევე გეტყვით, რომ წელს რამდენიმე სასტუმროს მშენებლობა დასრულდება. წელსვე იწყება „შერატონის“ მშენებლობა.

რაც შეეხება გზებს, ამას წარმატებულად მივყვებით. გეტყვით, რომ გასულ 2 წელიწადში რეგიონში განხორციელდა 124 ინფრასტრუქტურული პროექტი. ამ პროექტების ჯამური ღირებულება გახლავთ წელს 56 მილიონი ლარი. ეს არის გზების რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ნაპირსამაგრი სამუშაოების, წყალმომარაგებისა და გარე განათების პროექტები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამასთან, მთავრობის მეთაურმა რეგიონის სოფლების ელექტროფიცირებაზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ პროექტ „შუქი ყველა სოფელს“ ფარგლებში უშუქოდ მყოფი 10 სოფლის განათება მოხდა.

პრემიერმა რეგიონში „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში შექმნილ საწარმოებზეც ისაუბრა და როგორც განმარტა, აღნიშნული პროგრამის საფუძველზე მცხეთა-მთიანეთში ოთხი საწარმო გაიხსნა, რომელთაც სახელმწიფოსგან გადაეცათ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები და შენობა-ნაგებობები. მისივე თქმით, მოსალოდნელია რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჯანდაცვის სფეროზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რეგიონში 6 რაიონულ ცენტრს გადაეცა 12 ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა; გაიხსნა 7 ახალი ამბულატორია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს მცხეთა-მთიანეთის განვითარების თაობაზე მთავრობის ხედვა გააცნო.

როგორც პრემიერმა ადგილობრივ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, აღმასრულებელ ხელისუფლებას უკვე აქვს გეგმები, თუ რომელი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს აღნიშნული რეგიონი.

„ამ რეგიონში სოფლის მეურნეობა შეიძლება განვითარდეს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა მესაქონლეობა, მეცხვარეობა, რძის, ხორცის, ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი წარმოება, მეფუტკრეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარება.

მოგახსენებთ რეგიონში წარმოების განვითარების პერსპექტივებზეც. ქალაქ მცხეთას აქვს ხილის გადამუშავების, ნატურალური წვენების საწარმოსა და საკონდიტრო საწარმოს ამუშავების შესაძლებლობა. მცხეთის რაიონში არის ტექსტილის წარმოების, საკონდიტრო ქარხნის, კომბინირებული საკვების საწარმოს ამუშავების პერსპექტივა; ყაზბეგში შესაძლებელია ლოგისტიკური ცენტრის, მატყლისა და მატყლის პროდუქციის წარმოების, ტრადიციული ხელსაქმის — სუვენირებ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, აღმასრულებელ ხელისუფლებას უკვე აქვს გეგმები, თუ რომელი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს აღნიშნული რეგიონი.

„ამ რეგიონში სოფლის მეურნეობა შეიძლება განვითარდეს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა მესაქონლეობა, მეცხვარეობა, რძის, ხორცის, ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი წარმოება, მეფუტკრეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარება.

მოგახსენებთ რეგიონში წარმოების განვითარების პერსპექტივებზეც. ქალაქ მცხეთას აქვს ხილის გადამუშავების, ნატურალური წვენების საწარმოსა და საკონდიტრო საწარმოს ამუშავების შესაძლებლობა. მცხეთის რაიონში არის ტექსტილის წარმოების, საკონდიტრო ქარხნის, კომბინირებული საკვების საწარმოს ამუშავების პერსპექტივა; ყაზბეგში შესაძლებელია ლოგისტიკური ცენტრის, მატყლისა და მატყლის პროდუქციის წარმოების, ტრადიციული ხელსაქმის — სუვენირების და აგრეთვე სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების რესურსი; თიანეთში არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის — წვენების, ჯემების წარმოების პოტენციალი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მცხეთა-მთიანეთს დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმის კუთხითაც.

„ეს მხარე მთლიანად — მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, ხევსურეთი, სტეფანწმინდა, გუდაური თავისი ულამაზესი ბუნებით, უნიკალური კულტურულ- ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით, საკურორტო ზონებით ყოველთვის იზიდავდა ტურისტებს. ჩვენ ვგეგმავთ, რომ ყველგან, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, აღვადგინოთ და კონსერვაცია გავუკეთოთ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს ამ მხარეში, განვავითაროთ და გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა ძეგლების ირგვლივ, იმისათვის, რომ უფრო მიმზიდველი გავხადოთ ეს ადგილები.

მცხეთაში ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ვიზიტორთათვის პირობები. ვგეგმავთ არმაზის ციხის კონსერვაციასა და ინფრასტრუქტურის მოწყობას, ძალისის კონსერვაციას, ბებრის ციხის რეაბილიტაციას, ჯვრის ეკლესიის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, შიო-მღვიმის მონასტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას. უნდა შემუშავდეს კონცეფცია მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმისათვის, მოხდეს კინოს სახლის რეკონსტრუქცია და ა.შ.

დუშეთში ვაპირებთ ისტორიული ქუჩების ურბანულ რეგენერაციას, დუშეთის პარკისა და სახელოსნო ბაზრობის მშენებლობას, ანანურის ციხის კონსერვაციას, პარკირების ზონის გაფართოებას და სხვა. თიანეთში უნდა მოხდეს სიონის ტბის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ხევსურეთში, მოგეხსენებათ, დავიწყეთ მუცოს სრულიად უნიკალური ციხე-ქალაქის აღდგენითი სამუშაოები, ვაპირებთ აგრეთვე შატილის კონსერვაციასა და სოფლის სახლების რეაბილიტაციას. ეს ხელს შეუწყობს ამ ულამაზეს მხარეში ტურისტების ნაკადის გაზრდას.

◎ სიბრძნე

ილია მეორის 14 ფრაზა ცხოვრების შესახებ

1. ბევრი ამბობს, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს შეცდომაა. როგორ შეიძლება შეეწინააღმდეგოს სულის შემსწავლელი ხორცის შემსწავლელს, პირიქით, მათ ერთმანეთი უნდა შეავსონ.

2. ვიცით კი ჩვენი არსებობის მიზანი, ვიცით, ვინ ვართ, საითკენ მოვდივართ, რა მოგველის? ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: „ვჭამ იმისათვის, რომ ვიარსებო და არა ვარსებობ იმისათვის, რომ ვჭამო“. მართლაც რისთვის ვარსებობთ: კარგი სმა-ჭამისათვის, ჩაცმა-დასვენებისათვის, თუ ჭამა-სმა და დასვენება რაღაც სხვა, უფრო დიდი მიზნისთვის გვჭირდება?!

3. საოცარი ის არის, რომ ვინც ეხმარება, იმას უფრო უხარია, ვიდრე ვისაც ეხმარებიან. საკითხავი ის არის — ჩვენ ვეხმარებით თუ ისინი გვეხმარებიან?

4. მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა იოლი არ არის. ჩვენ გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს.

5. თუ ჩვენ ბედნიერება გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ბედნიერება — ეს არის სიხარული, სიხარული კი სიყვარულისგან მომდინარეობს, რაც მეტ სიყვარულს გასცემს ადამიანი, მით უფრო მეტად ივსება ამ გრძნობით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ის კი არ უნდა გვიყვარდეს, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, არამედ — ყველა.

6. ადამიანები უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძებენ ბედნიერებას მოჩვენებითს, ფუჭს, წარმავალს, ბედნიერებას, რომელსაც თან სდევს უბედურება.

7. ინგლისური ზღაპარი მოგვითხრობს: კატა დიდხანს ემზადებოდა ლონდონში წასასვლელად, რათა დედოფალი ენახა. როგორც იქნა, აისრულა წადილი, მაგრამ თაგვის გარდა, იქ ვერაფერი ნახა, რადგან, როგორც კი თვალი მოჰკრა, მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა. ხშირად ადამიანი იმ კატის მსგავსად ივიწყებს მთავარ მიზანს და მთელი გული და გონება პატარ-პატარა მიწიერი საზრუნავისკენ აქვს მიპყრობილი.

8. ზოგიერთი ადამიანი ოცნებობს, ნაკლები იმუშაოს და ბევრი მიიღოს, მაგრამ დასვენებით რომ დატკბე, თავდაპირველად დაღლა უნდა იგრძნო.

9. ამქვეყნიური ცხოვრება ღვთისგან მომადლებული ძვირფასი ნიჭია. ჩვენ კი ხშირად ვივიწყებთ ამქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობას, ხან წარსულზე ვდარდობთ, ხან მომავალს შევყურებთ დიდი იმედით და აწმყო ამ უნაყოფო დარდსა და ოცნებებში გადის.

10. ცხოვრება, მართალია, ხანმოკლეა, მაგრამ თუ მოინდომებ, სახელი შენი იქნება მარადიული...

11. ყოველი კაცი სანთელს უნდა ჰგავდეს, ირგვლივმყოფთ ერთდროულად უნდა უნათებდეს და ათბობდეს კიდეც. ყოველმა ჩვენგანმა თავის თავს უნდა ჰკითხოს — ანათებს თუ არა იგი და ათბობს თუ არა ადამიანებს, თუ იგი პირიქით იქცევა, მაშინ ის საუკუნო წარსაწყმედელს დაისაკუთრებს.

12. მე ყოველთვის იმედით ვარ აღვსილი და მჯერა — ადრე თუ გვიან საქართველო გაერთიანდება. მჯერა იმისიც, რომ მიწიერი გაგებით რა მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, უფლისათვის შეუძლებელი არაფერია.

13. იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და გახსოვდეთ: ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება.

14. შენ სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემოქმედთან.

mediamix.ge

◎ თანამშრომლობა

საქართველო და ბელარუსი ერთობლივ საწარმოებს შექმნიან

ბელორუსის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბელარუსის მრეწველობის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი დღეს გაფორმდება. მემორანდუმის საფუძველზე, საქართველო და ბელარუსი ერთობლივ საწარმოებს შექმნიან.

მემორანდუმის გაფორმების საკითხი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას ბელარუსის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლეონიდ ზაიაცთან, მრეწველობის მინისტრ ვიტალი ვოვკთან შეხვედრის ერთ-ერთი თემა. მინისტრების შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გაიმართა.

როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მინისტრებმა განაცხადეს, საუბარი შეეხო საქართველოსა და ბელარუსს შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით თანამშრომლობასა და სამომავალო პერსპექტივებს, მათ შორის ერთობლივი სასოფლო-სამეურნო საწარმოების შექმნას, ასევე საქართველოში ბელარუსული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრის მოწყობის საკითხს.

გაიმართება საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმი, განხილული იქნება ერთობლივი ღვინის საწარმოს შექმნის ინიციატივა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხაზი გაუსვა ბელარუსში სოფლის მეურნეობის განვითარების დონეს და აღნიშნა, რომ ეს გააზრებული და პატრიოტული პოლიტიკის შედეგია.

კითხვაზე, ბელარუსის მხრიდან საქართველოსთან ერთობლივი საწარმოების შექმნით დაინტერესება არის თუ არა განპირობებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობით, რომლის ფარგლებშიც საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე გადის, ოთარ დანელია პასუხობს, რომ „ერთი მეორეს არ გამორიცხავს და აქ ორმხრივი დაინტერესებაა, ერთობლივი საწარმოები გაიხსნება როგორც საქართველოში, ისე ბელარუსში“.

ბელარუსის სურსათის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლეონიდ ზაიაცმა ასევე აღნიშნა, რომ ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

„საქართველოსა და ბელარუსის ურთიერთობებში ახალი ფურცელი იხსნება. ქართველები უნიკალური ერი ხართ, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და მოხარული ვარ, რომ საქმე გვექნება ისეთ ხალხთან, რომელიც საქართველოში ცხოვრობს“, — განაცხადა ლეონიდ ზაიაცმა.

მისი თქმით, ქართველ და ბელარუს ხალხებს ბევრი რამ აერთიანებთ და ამ კონტექსტში გაიხსენა ფაშიზმზე გამარჯვება და საქართველოს დამდეგი 9 მაისი მიულოცა.

◎ ᲕᲘᲜ ᲨᲔᲡᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ 26-ᲨᲘ?

„ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ათონელის 25-ში მდებარე ორბელიანთა სასახლე, კაპიტალური შეკეთებისა და რესტავრაციის შემდეგ, ახალ მობინადრეებს ელოდება. კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირების მიხედვით, ამ მისამართზე უნდა გადასულიყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ხოლო ავლაბრის სასახლეში უნდა გახსნილიყო ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, თუმცა, არჩევნების დასრულების შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს ადმინისტრაციის ავლაბრიდან გადატანას. როგორ აპირებს მთავრობა ამ შენობის განკარგვას?

იგი თითქმის სამი წლის განმავლობაში ხარაჩოებში იყო ჩასმული. ისტორიული, ე.წ. ორბელიანების სასახლის რემონტი, ეზოს მოპირკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებით, ჯამში, 25 მილიონამდე ლარი დაჯდა, თუმცა, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ თქვა უარი ახალ შენობაზე და სამუშაოდ მთავრობის კანცელარიის მე-13 სართულიდან ავლაბრის სასახლეში გადავიდა: „ორი ოთახის ფარგლებში ძალიან გვიჭირდა მუშაობა და, შესაბამისად, მივიღეთ ეს გადაწყვეტილება“.

თუმცა, ახალი შენობა იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე „ორი ოთახი“. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ათონელის 25-ში მდებარე შენობა, 6 ათასი კვადრატული მეტრით, გათვლილია ქვეყნის პირველი პირისა და მისი 250-კაციანი აპარატის საჭიროებაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გაუმართლებლად მიიჩნევს პრეზიდენტის მიერ ავლაბრის სასახლის დაკავებას: **„აქვს კი მას ამ სასახლეში ცხოვრების უფლება? და აქვს კი მას უფლება 10 ათასი კვადრატული მეტრი თავისი ხასიათის შესაბამისად გამოიყენოს? ის ვალდებულია, სახელმწიფო ქონება გამოიყენოს მაქსიმალურად ეფექტურად“.**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აღდგენილი შენობა, რომელიც აუქციონზე ვერ გაიყიდა, რომელიმე სახელმწიფო უწყებას გადაეცემა. ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელის თქმით, კარგი იქნება, თუკი ისტორიული შენობა შეავსებს საჯარო კულტურული სივრცის დეფიციტს, რომელიც თვალშისაცემია:

„სადაც გაიმართება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, დისკუსიები... ანუ გვექნება უფრო მეტი საჯარო სივრცე, რომელსაც გამოიყენებს თბილისის მოსახლეობა და არ იქნება რაღაც სამთავრობო ჩაკეტილი სტრუქტურა... ასეთი იყო გრიგოლ ორბელიანის დროს აქ მდგარი შენობა. ცხადია, სასახლის ფუნქციას ვერ დავუბრუნებთ, მაგრამ დისკუსიებისა და ლიტერატურული საღამოებისათვის საჭირო სივრცის გაკეთება ნამდვილად შეიძლება, თუმცა, ცხადია, გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს“.

თამარ ამაშუკელის თქმით, ათონელის 25-ში მდებარე შენობა მე-20 საუკუნის დასაწყისშია აშენებული და გამოირჩევა ტიპური თბილისური, ეკლექტიკური არქიტექტურით, ორბელიანების სასახლეს კი ეძახიან იმის გამო, რომ, საისტორიო წყაროების მიხედვით, ამ ადგილზე იდგა სასახლე, რომელიც თეიმურაზ მეორეს უჩუქებია თავისი სიძის, დიმიტრი ორბელიანისთვის. სასახლის ბოლო მობინადრე ყოფილა გრიგოლ ორბელიანი, რომლის ხელშიც იმართებოდა ხალხმრავალი ლიტერატურული საღამოები და სხვა სახის ღონისძიებები. მე-19 საუკუნის მიწურულს სასახლე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და დაინგრა, თუმცა, მის ადგილზე აშენებულ შენობას, რომელიც სულ ახლახან გაარემონტეს და აღადგინეს, დღემდე შემორჩა ორბელიანების სახელი.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

◎ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚᲘᲐ!

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ უამრავი ძველი და ექსპლოატაციიდან გასული შენობაა, რომელთა დიდი ნაწილი სულ მალე ავარიული გახდება. 5-სართულიან ე.წ. ხრუშჩოვკებსაც, პრაქტიკულად, ამოწურული აქვს თავისი ვადა. ძველი საცხოვრებელი კორპუსების ახლით ჩანაცვლება სამშენებლო სექტორის გააქტიურების ხარჯზე უნდა მოხდეს, მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ ბიზნესის ეს მიმართულება, აგვისტოს ომის შემდეგ, ვერაფრით დადგა ფეხზე. სახელმწიფო ამჯერად კიდევ ერთხელ ცდილობს დეველოპერთა დახმარებას.

სპეციალისტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ძველი, კომუნისტების დროს აშენებული შენობების მდგომარეობა ყველგან ერთნაირად საგანგაშო არ არის. მაგალითად, ზოგიერთი „ხრუშჩოვკა“ უფრო მყარია, ვიდრე მაგალითად, 15 წლის წინ აშენებული სახლი.

„სახლის ტექნიკურ მდგომარეობას მხოლოდ პროექტი არ განსაზღვრავს. ავარიულობის მიზეზი შეიძლება მშენებლობის, მასალის ხარისხი, გეოლოგიური პრობლემები თუ სხვა მიზეზები იყოს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძველ ქალაქში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე „ხრუშჩოვკების“ მიკრორაიონებში. მაგალითისთვის ახლაც სადგურის მოედანზე, რკინიგზელთა სახლი უაღრესად ავარიულ მდგომარეობაშია. კედლები გაპობილია, დაბზარულია. იქ არის აივნები, რომელიც შეიძლება ჩამოიშალოს და მსხვერპლიც მოჰყვეს. მართალია, ტერიტორია შემოღობილია, თუმცა, ჯერჯერობით ხალხი ტროტუარზე დადის და სარისკოა.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესწავლა და ამა თუ იმ სახლის ტექნიკური მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტაა აუცილებელი. ამიტომაც მერიამ ამ საკითხს ძალიან სერიოზულად უნდა მიხედოს“, — ამბობს არქიტექტორ-ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე.

არქიტექტორი და ურბანისტი გიგა ბათიაშვილი კი აცხადებს, რომ ე.წ. ხრუშჩოვკები ძირითადად საქარხნო წარმოების შენობებია, რომლებიც უკვე სოციალურად ვარგისები აღარ არის. ამ საცხოვრებელი შენობების ვადად 25-30 წელი იყო განსაზღვრული, რაც ასევე სოციალური ფაქტორებით იყო განპირობებული. ახლა კი მათი დემონტაჟის დრო მოვიდა.

ძველი კორპუსების ახლით ჩანაცვლება კი ასე მარტივი არ აღმოჩნდა. ჯერჯერობით დედაქალაქს არც ერთი ასეთი მნიშვნელოვანი წამოწყება არ ახსოვს. მიზეზი ისაა, რომ სამშენებლო სექტორი ძალიან სუსტია ამგვარი პროცესების წარმართვისათვის. დეველოპერთა პრობლემა კი აგვისტოს ომს და ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.

სახელმწიფო ამჟამად კიდევ ერთხელ ცდილობს, დაეხმაროს მშენებლებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული კომპანიები სახელმწიფოს მიმართ არსებული ცალკეული ფინანსური დავალიანებებისგან გათავისუფლებიან. საუბარია ე.წ. „კა 2“-ის მოსაკრებელსა და დამატებული ღირებულების გადასახადზე.

ახალი ინიციატივის თანახმად, რომელიც ამჟამად პარლამენტშია შესული, მოსაკრებლისგან განთავისუფლდება არა მარტო ის შეჩერებული მშენებლობები, რომლებზეც ნებართვა არსებობდა, არამედ ისინიც, რომლებზეც არსებობდა შეთანხმება, მაგრამ არა დოკუმენტურად ნებართვა.

ჯამში, ამ ორი მიმართულებით საუბარია ათეულობით მილიონი ლარის ფინანსური ტვირთისგან კომპანიების გათავისუფლებაზე. ეს ორი შეღავათი ერთად ბიძგს მისცემს შეჩერებული მშენებლობების განახლებას, რასაც ათასობით ოჯახი დიდი ხანია, ელოდება. აგრეთვე, შეღავათებით ისარგებლებენ სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ვალდებულებას აიღებენ, რომ დღემდე შეჩერებულ მშენებლობას 3 წელიწადში, 2018 წლის იანვრამდე დაასრულებენ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა პროექტის ცვლილებები უკვე განიხილა, თუმცა, ამ საკითხზე პლენარულ სხდომას არ უმსჯელია, რადგან კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. სავარაუდოდ, მისი განხილვა უახლოეს სასესიო კვირას მოხდება.

ᲖᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ ᲡᲐᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲗᲐᲜ

ᲠᲣᲮᲨᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ“ მაისში რუხის მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრის პროექტის განხორციელებას იწყებს. ფონდი რამდენიმე კვირაში დაასრულებს სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული მშენებლობის დეტალური პროექტირების სამუშაოებს, რის შემდეგაც სამშენებლო კომპანიის შერჩევის პროცესი დაიწყება.

პროექტის მიხედვით, სავაჭრო ცენტრი მრავალფუნქციური იქნება, სადაც სავაჭრო ფართების გარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები პუნქტი, მცირე სამაცივრე დანადგარები და სხვა სახის ობიექტებიც განთავსდება. აქვე იქნება ფოსტა, აფთიაქი, ბანკი და ვეტერინარული კლინიკა.

მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში აშენდება. პროექტის ავტორთა განცხადებით, ცენტრის მშენებლობა 2015 წლის შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. როგორც „საპარტნიორო ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტეს, შენობის მაკეტის პროექტირებაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს და მაისის შუა რიცხვებში დასრულდება.

ადგილობრივებს იმედი აქვთ, რომ სავაჭრო ცენტრის გახსნით მოსავლის რეალიზაციის პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდება .**„ეს ეხება რძის ნაწარმს, ხილს, ბოსტნეულს. ძალიან დიდი შეღავათი იქნება გალის მოსახლეობისთვისაც, რომლებიც აკრძალვის მიუხედავად, მაინც გადმოდიან ზუგდიდის ბაზარში და ყველს, თაფლს, შინაურ ფრინველსა და ხილ-ბოსტნეულს აბარებენ. ახლა მათ უფრო ნაკლები მანძილის გავლა მოუწევთ. მით უფრო, აქ საჭირო ნივთების შეძენასაც შეძლებენ. ყველასთვის ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა და იმედია, დაპირებად არ დარჩება“,** — ამბობს ჩვენთან საუბარში ზუგდიდელი მანანა თოდუა.

შარშან ასევე გავრცელდა ინფორმაცია „ერგნეთის ბაზრობის“ გახსნის შესახებაც. როგორც მაშინ ითქვა, მთავრობა მუშაობდა პროექტზე, რომლის მიხედვითაც, ოკუპირებული ტერიტორიების მომიჯნავე რეგიონებში - სამეგრელოსა და შიდა ქართლში — თავისუფალი ეკონომიკური ზონები უნდა შექმნილიყო. საუბარი იყო, ერგნეთის ბაზრობის მსგავს ცენტრებზე. ისიც ითქვა, რომ დეტალებზე საპარტნიორო ფონდი მუშაობდა და ბაზრობის გახსნა დეკემბრის ბოლოსთვის უნდა მომხდარიყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დავუკავშირდით ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც საპარტნიორო ფონდთან გადაგვამისამართა. როგორც საპარტნიორო ფონდში გვითხრეს, ერგნეთის თემაზე მუშაობა არ მიმდინარეობს. როგორც ირკვევა, ერგნეთის საკითხი ჩაიშალა. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სოფელ ერგნეთის მახლობლად, საოკუპაციო ხაზთან „კულა“ აშენებს საკონსერვო ქარხანას, რისთვისაც კომპანიამ დაფინანსება პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიიღო.

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

რას აშენებს ხოდორკოვსკი ასათიანზე ფსიქიატრიულის ნაცვლად?!

დიდი ინვესტიცია და ჩვენეული ჭორ-მართალი

2015 წლის სექტემბერში თბილისში, კახეთის გზატკეცილზე ღია სივრცის სავაჭრო-გასართობი ცენტრი EastPoint Tbilisi გაიხსნება. გარდა ამისა, საბურთალოზე საცხოვრებელი კომპლექსის Tbilisi Garden-ის მშენებლობა მიმდინარეობს. 120 მილიონი დოლარის ღირებულების ამ ორ პროექტს ერთი საერთო აქვს – ორივე მათგანს საინვესტიციო ფონდი Quadrum Global ახორციელებს, რომელიც საქართველოში შვილეული კომპანიების CBD Development-ისა და BD Property-ს სახითაა წარმოდგენილი.

„ფორბსის“ რუსული გამოცემის ინფორმაციით, Quadrum Global-ი რუსული ნავთობკომპანია „იუკოსის“ ყოფილი მფლობელების – მიხაილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის კუთვნილი კომპანიაა. გამოცემის ცნობით, Quadrum Global-ის აქტივები 2 მილიარდ დოლარს შეადგენს, კომპანიის მფლობელობაშია ასევე უძრავი ქონება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ვიეტნამში, უკრაინასა და საქართველოში. კომპანიის მფლობელების შესახებ „ფორბსის“ რუსული გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ Quadrum Global-ის ქართულ წარმომადგენლობაში. EastPoint Tbilisi-ის გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი ნინი გორგოძე bpn.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ Quadrum Global-ს მიხაილ ხოდორკოვსკსა და პლატონ ლებედევთან შეხება არ აქვს.

„არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია და რას ეყრდნობიან. ჩვენი პროექტის პარტნიორია ლონდონში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდი Quadrum Global, რომელიც განკარგავს კერძო პირების კაპიტალს და შესაბამისად, ახორციელებს ინვესტიციას სხვადასხვა ტიპის უძრავ ქონებაში. რაც შეეხება ქართულ წარმომადგენლობას – კომპანია CBD Development-ს, მისი დამფუძნებელები არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის, გენერალური დირექტორი ლიტვის მოქალაქეა. სამეთვალყურეო საბჭოში რუსეთის მოქალაქეც გვყავს, მაგრამ თქვენს მიერ დასახელებულ პიროვნებებთან ჩვენ შეხება არ გვაქვს“, – განაცხადა ნინი გორგოძემ.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, CBD Development-ი რეგისტრირებულია 2010 წელს . კომპანიის 100%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიდრანგეა ბ.ვ.“ ფლობს, რომელიც ნიდერლანდებშია რეგისტრირებული. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კერძოდ, კი თვალჭრელიძის ქუჩა №2-ში სავაჭრო-გასართობი ცენტრის EastPoint Tbilisi-ის პროექტს სწორედ კომპანია CBD Development ახორციელებს.

EastPoint Tbilisi-ის გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორის ნინი გორგოძის განცხადებით, სავაჭრო-გასართობი ცენტრის მშენებლობა 2 წლის წინათ დაიწყო. EastPoint Tbilisi 21 ჰექტარზე განთავსდება. აქედან დაახლოებით 72 000 კვდრატული მეტრი გასაქირავებელი ფართია. სავაჭრო-გასართობი ცენტრი არის გახსნილი კონცეფცია – საფეხმავლო ქუჩებით, რაც მომხმარებელს შეუქმნის იმის აღქმას, თითქოს ქუჩაში დადის.

„EastPoint Tbilisi დაყოფილია სამ ზონად – პირველი ზონა ეთმობა მაღაზიებს, სადაც განთავსებული იქნება ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, აქსესუარების მაღაზიები. გვაქვს რამდენიმე ტიპის კაფე, რესტორანი. რაც შეეხება მე-2 ზონას, პირველად საქართველოში EastPoint Tbilisi-ში ექსკლუზიურად IMAX ტექნოლოგიის კინოთეატრი იქნება, ასევე ბავშვთა გასართობი ცენტრი, რომელიც, დაახლოებით, 3 000 კვადრატულ მეტრზე განთავსდება და სადაც შესაძლებელი იქნება დაბადების დღეების გადახდა 2-დან 14 წლამდე ბავშვებისთვის. მე-3 ზონაში უკვე წარმოდგენილი იქნება BIG BOX-ები, კერძოდ, „კარფური“, ასევე სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი და საყოფაცხოვრებო ტექნიკის box-ი ავეჯით. EastPoint Tbilisi-ში წარმოდგენილი იქნება ყველა ის საერთაშორისო თუ ადგილობრივი ბრენდი, რომელიც წარმატებულად

ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე“, – აღნიშნა ნინი გორგოძემ.

EastPoint Tbilisi-ის საინვესტიციო ღირებულება 90 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში, დაახლოებით 3 000 ადამიანის დასაქმდება იგეგმება. რაც შეეხება კვადრატული მეტრის ფასებს, იმის მიხედვით განისაზღვრება თუ რა ტიპის ფართზეა საუბარი და რა ფუნქციის მატარებელია, ამიტომ ამ ეტაპზე EastPoint Tbilisi-ში კონკრეტულ თანხას არ ასახელებენ, თუმცა, ამბობენ, რომ ფართის 80% უკვე გაქირავებულია. სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე შენობები უკვე აშენებულია. მიმდინარეობს სარემონტო, ასევე გამწვანების და ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები. EastPoint Tbilisi-ის გახსნა 2015 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში იგეგმება.

„Quadrum Global“ საქართველოში მეორე საინვესტიციო პროექტსაც ახორციელებს. ეს არის საცხოვრებელი კომპლექსი Tbilisi Garden, რომელსაც შპს BD Property აშენებს. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, BD Property-ის 100%-ს „ნენტალ ჰოლდინგ ბ.ვ.“ ფლობს, რომელიც ნიდერლანდებშია რეგისტრირებული. კომპანიის დირექტორია ტომას გიჟასი, რომელიც ამავდროულად CBD Development-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

Tbilisi Garden საცხოვრებელი კომპლექსია, რომელიც თბილისში, ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე შენდება და დაახლოებით,4 ჰექტარს მოიცავს.

„ამ ეტაპზე დაგეგმილია ერთი საცხოვრებელი ბლოკისა და გაყიდვების ოფისის მშენებლობა. სამშენებლო პროცესი დაახლოებით ერთი წელია, მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები. ტერიტორიიდან მოხდა საყოფაცხოვრებო ნაგავის გატანა, გასუფთავება. ამჟამად საძირკვლის სამუშაოები დასრულებულია და უახლოეს მომავალში უკვე მიწისზედა სამუშაოებს დავიწყებთ. ვფიქრობთ, რომ გაყიდვებს სექტემბრიდან დავიწყებთ, რადგან გვინდა, რომ რამდენიმე სართული იყოს აშენებული. პარალელურად ვაშენებთ თანამედროვე სტანდარტების გაყიდვების ოფისს, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაბამისი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნებათ. ამ პროექტის ფარგლებში დიდ აქცენტს ვაკეთებთ გამწვანებაზე. ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს მიმართულება. დაახლოებით, 900 000 ლარია გამოყოფილი გამწვანებისთვის. ვფიქრობთ, რომ გავყიდით სრული რემონტით, ჩაშენებული სამზარეულოთი, კომპლექსს ასევე ახლავს საინტერესო ინფრასტრუქტურა – საცურაო აუზი, სატრენაჟორო დარბაზი, დიდი და გამწვანებული ეზო, მიწისქვეშა პარკინგი, ანუ მომავალი მაცხოვრებლებისთვის იქნება კომფორტული გარემო“, – განაცხადა ნინი გორგოძემ, რომელმაც კვადრატული მეტრის ღირებულების დაკონკრეტებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

მისივე თქმით, ერთი ბლოკის ინვესტიცია, რომელიც ამ ეტაპზე ხორციელდება, 30 მილიონი დოლარია. პირველი ბლოკის ფარგლებში 30 სართული აშენდება. პირველი რამდენიმე სართული დაეთმობა სატრენაჟორო დარბაზს, საცურაო აუზს, მიწისქვეშა პარკინგს, ხოლო დანარჩენი ნაწილი იქნება საცხოვრებელი. **„უახლოესი 5-6 წლის პერსპექტივაში შესაძლოა, კიდევ დავამატოთ ორი ბლოკი“,** – აღნიშნა ნინი გორგოძემ. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, მომავალში აღნიშნული კომპანია საქართველოში კიდევ სხვა ახალი პროექტებით დაინტერესდეს.

ნათია რუხაძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

პენსია

ჩვენში 65 წელია მამაკაცის საპენსიო ასაკი. ამ ასაკის ადამიანები სწორედ იმ თაობას მიეკუთვნებიან, ვის თავზეც საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ძმათა დაპირისპირება, ენერგოკრიზისი და ბოლო წლების ჭირ-ვარამმა გადაიარა.

ჩვენი მშობლები სიმწრით იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, მაგრამ არანაკლები სიმძიმე და გაჭირვება ერგო სწორედ ამ თაობას. განსხვავება იმაშია, რომ მათი შრომა და გარჯა გარკვეულად დაფასებული იყო პერსონალური და სხვადასხვა სახის პენსიებითა და მთელი რიგი სოციალური შეღავათებით (თუნდაც ბინის მიღებით. ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს მანქანებსაც აძლევდნენ).

ამას წინათ ქალაქის მერმა ბრძანა, ხელფასზე დანამატები იმისათვის არის, რომ მეტი შრომა უწევთ მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებსო. მამაცხონებულო, გაბზრიალებულ კაბინეტებში და უმაღლესად გამართულ სამსახურებში, სადაც მოხვედრაზე ხალხი თავს იკლავს, ხელფასის მომატებაზე ზრუნვა და 65 წელს მიღწეულ ადამიანებზე, ვინც ამდენ ჭირვარამს გაუძლო (ნახევარი ნერვებმოშლილი და დაზაფრულია), მერე უნდა იზრუნოთ და ექსპერიმენტები უნდა უტაროთ დამადლებულ ვაუჩერებსა და პენსიის 10-ლარიან დანამატზე?

რა გულით უნდა იყვნენ ადამიანები ამის შემდგომ? პირდაპირ გეტყვით, ის ძველი გვენატრება, რადგანაც ასეთ საქართველოზე არავინ ოცნებობდა, მისი ტყე და სიმდიდრე ვაიღაცებმა ჯიბეებში ჩაიდეს, გაიხსენეთ კონსტიტუცია „ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრე ხალხს ეკუთვნისო“. ბოდიში და ბარემ ჩაგეწერათ კონსტიტუციაში ხაზარაძეებს, სიორიძეებსა და ჩხარტიშვილებს ეკუთვნით, თქვენ კი ვირის თავ-ფეხიო. თუ არ მეთანხმებით, შეგიძლიათ ეს წერილი დახიოთ, თუმცა, ესეც არაფერია, რადგანაც ცხოვრება დაგვიხიეს.

ნოე კალანდია,
ჟუტუ ბარამიძე,
პენსიონერები

◎ ალიან-ჩალიანი

მინისტრის მოადგილეებმა თანამდებობები დატოვეს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. შესაბამისი ბრძანება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსცა, რომელიც მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

ბრძანებულების მიხედვით, უფლებამოსილება შეუწყდათ როგორც მინისტრის პირველ მოადგილეს, ისე მოადგილეებს.

„შეუწყდეთ უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა პრემიერს გადადგომის თხოვნით მიმართა, რის მიზეზადაც ჯანმრთელობის პრობლემები დაასახელა. ირაკლი ღარიბაშვილმა შავლიაშვილის შემცვლელად ნოდარ ჯავახიშვილი დაასახელა. კანონმდებლობის მიხედვით, მინისტრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მისი მოადგილეები ავტომატურად ტოვებენ თანამდებობას.

ინტერპრესი

◎ შემოსავალი

მოთქმა დაუბეგრავ მინიმუმზე

ძვეყნის მომავალი ევროკავშირთან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სივრცეში სრულფასოვან ინტეგრაციას რომ უკავშირდება, რასაც მასთან საქართველოს ასოციირების ხელშეკრულება ისახავს მიზნად, არც მოსახლეობაში, არც პოზიცია-ოპოზიციაში ეჭვს არ იწვევს. თუმცა კი, ვიდრე ამის სასიკეთო შედეგი რეალურად დადგება, მანამდე კიდევ დიდი დროა და ზღვა საქმეა გასაკეთებელი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თვალუწვდენელი პრობლემების სივრცეში ერთ-ერთი უმთავრესია საშუალო ფენის შექმნა, რომლის გარეშე ქვეყანაში საღი, წელმაგარი სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია. ამის მაგალითი მსოფლიოს უკლებლივ ყველა წარმატებული ქვეყანაა დედამიწის ორივე ნახევარსფეროში — საშუალო ფენა ყველგან, ყველა ყაიდის სახელმწიფო მოწყობის პირობებში — საზოგადოების დომინანტი ძალაა. ცხადია, ნაკლები მატერიალური შესაძლებლობების მქონენი, ღატაკებიც კი, ისევე, როგორც ზემდიდრები და იმათზე მდიდრებიც ყველგან არიან, თუმცა კი ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. უმცირესობა ჩვენშიც კი არსებობს, ოღონდ ეს, არსებითად, მოსახლეობის ის უმეტესი ნაწილია, რომელიც სიღარიბის ზღვრის ორივე მხრივ სიახლოვეში ცხოვრობს.

არა გვგონია, ამას ვინმე, ვისაც ხალხის სადღეისო ყოფის რეალურად, პირუთვნელად აღქმა შეუძლია, არ დაეთანხმოს, მით უმეტეს, რომ ყოველივე ამას მშრალი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს.

მოგეხსენებათ, აგერ უკვე მესამე წელია, ფინანსთა სამინისტრო მოსახლეობაზე დაუბეგრავი მინიმუმის, ანუ 1800 ლარის 20 პროცენტს — 360 ლარს — გასცემს, რაც ერთჯერადად გაჭირვებულთათვის, მით უმეტეს ლარის კატასტროფული გაუფასურების პირობებში, რასაც სურსათის, სამკურნალო საშუალებებისა და მომსახურების, საწვავის, საშენი მასალებისა და ა. შ. ფასების ზრდის პირობებში, ერთჯერადად ჩასუნთქული სუფთა ჰაერის ულუფასავითაა. თუმცა, როგორც გვამცნეს, ფინანსთა სამინისტრომ ამგვარი სიქველე ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნია და მომავალი წლიდან სამადლო გროშებზეც უარი განუცხადა. თუ რამდენ ხალხს შეეხო ეს „ფინანსური სილაქე“, ამას სტატისტიკა მეტყველებს: **ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს დაუბეგრავი მინიმუმი მთლიანად 658 ათასმა კაცმა მიიღო, შარშან კი მათ რიცხვმა 460 ათასი კაცი შეადგინა. წინასწარი, სტატისტიკური მაჩვენებლით, შარშან დაქირავებულთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი დაახლოებით 850 ლარი იყო, თუმცა კი ეს ციფრი სინამდვილეს აშკარად არ შეესაბამება და თუ რატომ, ამის თაობაზე ლაპარაკი ქვემოთ გვექნება.**

რაც შეეხება დასაქმებულ მუშაკთა შარშან მიღებული შემოსავლის მიხედვით სადღეისოდ შევსებულ დეკლარაციების მთლიან ოდენობას, ამჟამად საფინანსო ორგანოებში უკვე შესულია 300 ათასზე მეტი საბუთი და თუ განვლილი პერიოდის შრომის ბაზარზე ვითარების ფაქტობრივ უცვლელობას გავითვალისწინებთ, დაუბეგრავ მინიმუმს. წელსაც დაახლოებით იმდენივე კაცი მიიღებს, რამდენმაც შარშან მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **4,3-მილიონ ქვეყანაში, დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი, ყოველთვიურად 500 ლარს და, უამრავ შემთხვევაში, ამაზე გაცილებით ნაკლებს იღებს, რომლითაც მხოლოდ სიღარიბის ზღვართან „ჩახუტებულად“ არსებობაა შესაძლებელი. ახლა იმ „500 ლარს და იმაზე გაცილებით ნაკლებს“ კიდევ საშემოსავლო 20 პროცენტი დააკელით, რომელსაც გაისიდან ხადურის უწყება აღარ გასცემს, და რაც დარჩება, კიდევ 30-ზე გაყავით და ჩვენს ყოველდღიურ სახარჯ თანხას მიიღებს.**

არადა, ამ დროს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იმას გვიმტკიცებს, რომ ქვეყანაში საშუალო ხელფასი 850 ლარია და კიდევ მეტიც. ეგ როგორ? — იკითხავს მიამიტი კაცი. როგორ, ბატონო, და ყველა დასაქმებულის — სახელმწიფო სექტორის მოხელეთა, მათი ხელმძღვანელობის მრავალათასიან ხელფასიანად და კერძო სექტორის უმაღლესი რანგის მენეჯერთა კიდევ უფრო მაღალ ხელფასებიანად, თავის დამატებიან-პრემიანად, დაბალი რანგის თანამშრომელთა გასამრჯელოსთან ერთად კრებენ, მომუშავეთა საერთო რიცხვზე ყოფენ და შედეგსაც იღებენ. არადა, სადაა ნეტავ, თუნდაც სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობისთვის ეს ნატვრის თვალივით მოუხელთებელი 850-ლარიანი სამსახური, მით უმეტეს მხარეებში, იქნებ ჩვენც გაგვაგებინონ!

თუკი მთავრობას სურს, რომ მომავალში საქართველო იმ ქვეყნების ოჯახის ღირსეული წევრი გახდეს და არა „ღარიბი ნათესავის“ უხერხული როლი ჰქონდეს, რომელთა მოსახლეობა ცივილიზებული საზოგადოებისთვის შესაფერის მატერიალურ მდგომარეობაშია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ხელისუფლებამ იმ უზარმაზარი უფსკრულის ამოვსება, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებში უმაღლესი და უმდაბლეს შრომით განაკვეთებშია, რომ იტყვიან, გუშინწინ უნდა დაეწყო“... დაუბეგრავი მინიმუმის 20-პროცენტის გაღება ასეთად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, თუმცა კი, როგორც ვხედავთ, გაისად ხალხს ამასაც აღარ მისცემენ.

სადღეისოდ კი ასეთი დისპროპორცია მაღალ და დაბალშემოსავლიან დასაქმებულთა სახელფასო განაკვეთებს შორის ჩვენში ზოგჯერ ასჯერადს(!) უახლოვდება! ზოგ სახელმწიფო სტრუქტურაში კი მაღალი კატეგორიის მოხელეთა ხელფასი მოწინავე, ეკონომიკურად წელგამართულ ქვეყნებში ანალოგიურ სტრუქტურებში მენეჯერთა ხელფასებს რამდენჯერმე აღემატება(?!). თუ კონკრეტულად ციფრების ენით ვიტყვით, **განსხვავება უმაღლეს და უმდაბლეს ხელფასებს შორის, განვითარებულ, მოწინავე ქვეყნებში, საშუალოდ ათჯერადია, ჩვენში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საშუალო ათასჯერადზეც კიდევ ათჯერ მეტია!**

სამწუხაროდ, ასეა ბევრ სახელმწიფო სტრუქტურაში, ასეა კერძო კომპანიებშიც, თუმცა კი, ისინი თავიანთი შემოსავლის ბატონ-პატრონები თავადვე არიან.

ოთარ ტურაბელიძე

◎ დედაეკლესია

ყოველთვის ხელისგამწვდენი ქვეყნის სხვა კონფესიებისადმი

საუკუნეებია ასეა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ თანადგომისა და გვერდში ყოფნის მაგალითს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიების მიმართ, შემწყნარებლობას იჩენდა მათდამი. ქვეყნის გასაჭირსა თუ ლხინში მუდამ თანაზიარნი იყვნენ უცხო მრწამსის ადამიანები, — გვიყვება ისტორიკოსი კახა ზალდასტანიშვილი და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანაა მსოფლიოში (თუ ერთადერთი არა), სადაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში არ ყოფილა არც ერთი სერიოზული დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე.

დღესაც, როდესაც მთელი მსოფლიოს პროგრესიული საზოგადოება ებრძვის ნარკომანიას — ამ უსაშინლეს სენს, ყველა კონფესია ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მრავალი საშვილიშვილო საქმე გააკეთა ამ კუთხით და აკეთებს კიდეც.

ცოტა ხნის წინათ საპატრიარქოს ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი კონფესიების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. საბჭოს წევრებს ნარკომანიასთან ყველა რელიგიური მიმართულების ერთობლივი ბრძოლის თაობაზე ინიციატივა გააცნეს პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ და საპატრიარქოს ანტინარკოტიკული ცენტრის დირექტორმა თეა გოგოტიშვილმა.

ინიციატივის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა, რომელიც ნარკოდამოკიდებულების მკურნალობითაა დაკავებული, საპატრიარქოს შესთავაზა ინტერრელიგიურ საბჭოსთან თანამშრომლობით ერთობლივი გეგმის განხორციელება, ნარკომანიის სენისაგან თანამოქალაქეთა დაცვის მიზნით, რის მიხედვითაც, კონფესიების სამკურნალოდ წარმომადგენლებს კონკრეტული გრაფიკის მიხედვით საშუალება ეძლევათ სამკურნალოდ წარადგინონ ერთი ადამიანი თავიანთი მრევლიდან. მკურნალობა — სტაციონარულ-დეტოქსიკაციის რეაბილიტაციის პერიოდი გრძელდება ერთი თვე.

ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალ ყველა კონფესიას საშუალება ეძლევა ყოველთვიურად სამკურნალო ცენტრში წარადგინონ ერთი პიროვნება. მკურნალობა 2 ათასი ლარი ღირს, მაგრამ რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთათვის ის უფასო იქნება. შეთანხმებულია, რომ პროექტს სრულიად დააფინანსებს სახელმწიფო.

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის განმარტებით, სტაციონარში მოსახვედრად ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ შერჩევა ყველასაგან დამოუკიდებლად მოხდება. პაციენტები მხოლოდ რელიგიური კონფესიების რეკომენდაციებით მიიღებიან. კილაძის თქმით, სენისაგან განკურნება მოხდება ფსიქოსოციალური და ფსიქოთერაპიული სპეციალური კურსებით. აგრეთვე, სტაციონარში მოხვედრილთ ჩაუტარდებათ ყველა სახის სამედიცინო გამოკვლევა.

სიახლე ხორციელდება საპატრიარქოს შუამდგომლობით. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციების უკვდავებას და ჩვენი სარწმუნოების ტოლერანტობას, ხელშეწყობას უცხო კონფესიების მიმართ, როდესაც საქმე ეხება უმთავრესს — სამშობლოში წამოჭრილი პრობლემების ერთობლივად მოგვარების საკითხს.

ექიმ-ნარკოლოგთა გარკვეულ წრეებში გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ ახლად დაარსებული ცენტრი ხომ არ გახდება ე. წ. „მეტადონის“ პროექტით მკურნალობის ანალოგიური, რაც თავად არის ნარკოტიკების ჩამნაცვლებელი და მეტი არაფერი. ამასთან დაკავშირებით გენერალური დირექტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ ცენტრში სტაციონარული მკურნალობისთვის მხოლოდ იმ პირებს მიიღებენ, რომელთაც გადაწყვეტილი ექნებათ ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან სრულიად განთავისუფლება და არა ჩანაცვლება, როგორც ეს „მეტადონის“ შემთხვევაში გვაქვს.

პაციენტის უფასო მკურნალობა (რომელსაც გააჩნია სურვილი განთავისუფლდეს ნარკოტიკების დამოკიდებულებისაგან) ყველა რელიგიური მიმდინარეობებისათვის მისაღებია. მითუმეტეს, თუ ამას თან ერთვის პრევენცია და აგიტაცია იმისა, თუ რა მავნებლობა მოაქვს ნარკოტიკებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამბობს თეოლოგი მერაბ ფრუიძე. ის ფაქტი, რომ ამ საშინელ სენთან ბრძოლა მოხდება რელიგიური კონფესიების დახმარებით, ძალიან ეფექტური იქნება, რადგანაც ერთია, როდესაც ექიმი ეუბნება ავადმყოფს და სულ სხვაა, როდესაც პაციენტს მოძღვარი ესაუბრება, ამბობს ჩვენთან მოსაუბრე და დიდი სიამაყით აღნიშნავს, რომ ამ უკუთილშობილესი წამოწყების ინიციატორი და შუამავალი ქართული დედაეკლესიაა.

ზაზა გილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

კიწმარიშვილის მკვლელობის საქმე — ვინ არის არაქართული იერის მამაკაცი?

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება არაქართული გარეგნობის მამაკაცის ამოცნობაზე მუშაობს, რომელიც გარდაცვალების ადგილზე პოლიციის მისვლამდეა დაფიქსირებული. ამასთან, პროკურატურამ გამოავლინა კიდევ ერთი პირი, რომელზეც გამოძიება ცალკე წარმოებად დაიწყო.

ამის შესახებ გარდაცვლილის ძმამ ზურაბ კიწმარიშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, პარალელურად გარდაცვალების ადგილიდან აღებული დნმ-ს ნიმუშის შედარების პროცესი მიმდინარეობს. რაც შეეხება არაქართული გარეგნობის პირს, როგორც ზურაბ კიწმარიშვილმა აღნიშნა, შემთხვევის ადგილზე ამოღებულ ვიდეომასალაში რამდენიმე პირი საეჭვოდ იქნა მიჩნეული, საიდანაც ორის იდენტიფიცირება და დაკითხვა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში უკვე მოხდა.

„ვერ მოხდა ვიდეომასალაში დაფიქსირებული კიდევ ერთი პირის — არაქართული, უფრო ზუსტად ჩრდილოკავკასიური გარეგნობის მამაკაცის იდენტიფიცირება, შესაბამისად, ამ დრომდე უცნობია, რა უნდოდა მას იმ ადგილას“, — განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა. მისივე თქმით, ცალკე წარმოებად მიმდინარეობს გამოძიება კიდევ ერთ პირზე, რომელიც არა ვიდეომასალების დათვალიერების შედეგად, არამედ არსებული გარემოებების საფუძველზე გამოვლინდა. გარდაცვლილის ძმის ინფორმაციით, აღნიშნული პირი გამოძიების ფარგლებში უკვე დაიკითხა.

„ეს პირი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. გამოძიება ამ პირამდე მიიყვანა არსებულმა გარემოებებმა. მასზე ცალკე საქმეა გახსნილი. მიმდინარეობს მისი საქმიანობის შესწავლის მიზნით ღონისძიებები. თეორიულად მას შესაძლოა, რაიმე შემხებლობა ჰქონდეს“, — განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა.

ინტერპრესი

აფხაზებს ქართული კულტურის ძეგლების იუნესკოს ნუსხაში შეტანა სურთ



იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში შესაძლოა, ქართული კულტურის ძეგლები შევიდეს, ოღონდ აფხაზური ინტერპრეტაციით. აფხაზები ირწმუნებიან, რომ დე ფაქტო ტერიტორიაზე არაერთი ბიზანტიური და რომაული ძეგლი არსებობს და ისინი იუნესკოს ნუსხაში აუცილებლად შესატანია. ამ „ბიზანტიური“ და „რომაული“ ძეგლების მიღმა აფხაზები მათ რეალურ ქართულ წარმომავლობას კვლავაც არ ამხელენ.

აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე, ისტორიულ–კულტურულ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ბატალ კობახია ამბობს, რომ ასეთი შედევრები აფხაზეთში უამრავია და, სხვა ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, აფხაზეთი უზარმაზარი კულტურული პლასტის მატარებელია.

„აქ ბევრი ბიზანტიური, რომაული ძეგლია. აფხაზეთი ქრისტიანობის გამავრცელებელი ქვეყანაა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა აქ იქადაგეს. მესამე საუკუნის ბოლოდან აქ ბიზანტიური ტაძრები შენდებოდა. ლიხნის ტაძარი ერთ-ერთია ქრისტიანული სამყაროს იმ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ტაძრებიდან, რომელსაც პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული“, – განაცხადა კობახიამ.

თუმცა, ჩამონათვალი მარტო ლიხნის ტაძრით არ ამოიწურება. ბატალ კობახიას თქმით, ლიხნის ტაძრის გარდა იუნესკოს ნუსხაში შევიდოდა, ასევე, ბედიის ტაძარი, სოხუმის ციხესიმაგრე, ცანდრიფშის ბაზილიკა, ლაშქენდარის ტაძარი, თამარ მეფის ხიდი, ბაგრატის ტაძარი და აფხაზეთის სხვა ისტორიული ძეგლი.

ოფიციალური სოხუმის ინფორმაციით, აფხაზეთში 295 ისტორიული ძეგლია! კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტმა აფხაზეთის ყველა ძეგლის ერთიანი რეესტრის შექმნისთვის მუშაობა უკვე დაიწყო.

ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ აფხაზებს არ სურთ, ძეგლებს თავიანთი ქართული სახელი დაარქვან. ამიტომაც ეძებენ დასახელებებს, ხანაც ბიზანტიურს, ხანაც – რომაულს და სხვა. სინამდვილეში, ნებისმიერი ქართველისთვის ფასეულია ბედიის ტაძარი და სხვა ქართული ძეგლები. უფრო მეტიც, ამას წინათ მოსკოვში აღმოჩნდა ხატები, რომელიც გარდაცვლილ შერვაშიძეს დარჩა და აფხაზებს სურთ, ქართული ხატწერის ეს ნიმუშები ჩაიტანონ აფხაზეთში და აფხაზურად გამოაცხადონ.

„ესეც კი გამოიყენეს იმისთვის, რომ ეთქვათ, თითქოსდა, ეს ხატები აფხაზებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ის ფაქტი, რომ აფხაზებს ქართული ძეგლების იუნესკოს ნუსხაში შეტანა სურთ, უნდა გამოვიყენოთ ერთადერთი მიმართულებით, რომ როგორმე მივაღწიოთ იუნესკოს წარმომადგენლების ჩასვლას აფხაზეთის ტერიტორიაზე და იქ არსებული კულტურული ძეგლების შესწავლას. სხვათა შორის, ქართული მხარე არაერთხელ სთავაზობდა აფხაზებს, იუნესკოს სპეციალისტები დაეშვათ, რომ მომხდარიყო ძეგლების აღწერა აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა, აფხაზური მხარე ამაზე ყოველთვის უარს აცხადებდა. ქართული მხარე იმაზეც კი წავიდა, რომ დაეშვა იუნესკოს წარმომადგენლების შეშვება აფხაზეთის ტერიტორიაზე სოჭის მხრიდან, მაგრამ ამას არ მოჰყვა აფხაზებისგან შემხვედრი ნაბიჯი. აფხაზეთში არის ძეგლები, რომლებიც აუცილებლად უნდა შევიდეს იუნესკოს სიაში, მაგრამ, როგორც აფხაზური ძეგლები, ისინი ვერ შევლენ იუნესკოში. რაც შეეხება ქართულ ძეგლებად მათ მოხსენიებას, ამას თვითონ აფხაზები არ მოინდომებენ. ამიტომ ბატალ კობახიას განცხადება დემაგოგიურია და ამას გაგრძელება არ მოჰყვება“, – აცხადებს ირაკლი ცქიტიშვილი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე გვარწმუნებს, რომ საქართველოს შეუძლია დაბლოკოს აფხაზეთში მდებარე ძეგლების არასწორი ინტერპრეტაცია, რადგან ჩვენ მიერთებულნი ვართ ყველა იმ საერთაშორისო რეგულაციას, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ავთენტურობის შენარჩუნებას. მისი თქმით, კულტურის მემკვიდრეობის ძეგლად ჩაითვლება მხოლოდ ის ძეგლი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისი თავდაპირველი ხასიათი და სახე. თუმცა, ჩვენ გვაქვს ცუდი მაგალითი ილორის ტაძრის სახით, რომელიც აბსოლუტურად გადაასხვაფერეს, ძეგლს არქიტექტურული სახე შეუცვალეს, დარბაზული ტიპის ტაძარზე გუმბათი დააშენეს. არადა, ამ ტიპის ტაძარი არ არსებობს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ილორის ტაძრის „რესტავრაციის“ შემდეგ მივიღეთ შეთეთრებული ტაძარი, მაშინ, როცა, ზოგადად, კავკასიურ არქიტექტურაში თეთრი ტაძრები არ არსებობს.

ამასთან, ლია ახალაძე ბედიის ტაძარში ბაგრატ მეფის ფრესკის ჩამოგდების ფაქტსაც ვანდალურად აღიქვამს, რადგან ამ შემთხვევაში, ტაძრის ქტიტორის გამოსახულება იქნა ხელყოფილი.

„რაც შეეხება ბატალ კობახიას მოსაზრებას, თითქოსდა, ეს ძეგლები ბიზანტიურია, ამ ძეგლების შესახებ არსებობს უამრავი ნაშრომი, მათ შორის, ცნობილ და კომპეტენტურ ქართველ და აფხაზ მკვლევართა, როგორიცაა ლევან რჩეულიშვილი, ლეონ შერვაშიძე, ანატოლი კაცია, იოსებ არძინბა და სხვები. ისინი აღიარებენ, რომ ეს არის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. შესაძლებელია, ამ ძეგლებიდან რომელიმეს ჰქონდეს ბიზანტიური ნიმუშები, მაგრამ ბიზანტიური კვალი დანარჩენ საქართველოშიცაა, მათ შორის, სამეგრელოს, კახეთის, მესხეთის ტერიტორიაზეც“, – აცხადებს ლია ახალაძე.

რაც მთავარია, მეცნიერის თქმით, ამ ძეგლებზე ამოკვეთილია ქართული წარწერები და აფხაზეთი არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით, რაც ადასტურებს, რომ ამ ძეგლების ქტიტორები, მაშენებლები, იყვნენ ქართულენოვანი მოსახლეობა, რომლებიც თავიანთი თავის იდენტიფიკაციას ქართულ ენაზე ახდენდნენ. ბუნებრივია, ჩვენ უნდა ვიღვწოდეთ ამ ძეგლების კულტურული ავთენტურობის დასაცავად და ამისთვის საჭიროა ეს ძეგლები შეიტანონ იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში, ოღონდ ეს უნდა მოხდეს ისტორიული სიმართლის გათვალისწინებით.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისის ბიუჯეტი 16 მილიონი ლარით იზრდება

ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი დედაქალაქის მთავრობამ გუშინ დაამტკიცა. გაზრდილი ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფონდ „ქართუს“ მიერ გრანტის სახით გამოიყო. 6 მილიონი ლარი კი დინამოს სტადიონის რეაბილიტაციას მოხმარდება. 10-მილიონიანი გრანტის ფარგლებში დედაქალაქის მერია სხვადასხვა სპორტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს განახორციელებს. შეიძენს პროექტებსა და საექსპერტო მომსახურებას, ასევე, პროექტების განხორციელების მომსახურებას. გამოყოფილი გრანტის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების – კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის, ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის, კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის, „ჩოგბურთის განვითარების“ ელექტროენერგიის სიმძლავრეების გაზრდა. პროექტის განხორციელების სავარაუდო თანხა 340 000 ლარს შეადგენს.

გრანტის ფარგლებში მოხდება თბილისის ზღვის გარშემო გზის ასფალტის საფარის კაპიტალური შეკეთება, რომლის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის 75 000 ლარი, პროექტის განხორციელებლად კი 5 304 879 ლარია განასზღვრული. ოლიმპიური ფესტივალისთვის განხორციელდება მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის გარე პერიმეტრის რეაბილიტაცია. მოწესრიგდება გზის საფარი და ავტოსადგომი, რისთვისაც 1 150 000 ლარია განსაზღვრული. 14 000 ლარამდე დაიხარჯება მიხელ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის გაზმომარაგების გარე ქსელის მოწყობისათვის. განხორციელდება ჩოგბურთის კორტებთან გაზმომარაგების, საკანალიზაციო და გარე ქსელის მოწყობა, რომლისთვისაც 39 500 ლარია განსაზღვრული. ასევე მოხდება ე.წ. დიღმის ჭალების მიმდებარე პერიმეტრის კეთილმოწყობა, რომლის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 25 000, პროექტის განსახორციელებლად კი 690 355 ლარია განსაზღვრული.

რაც შეეხება დინამოს სტადიონის რეაბილიტაციას, დამატებით გამოყოფილი თანხით განხორციელდება „დინამო არენას“ სკამების დემონტაჟი და ახლით ჩანაცვლება, ასევე, ჰიდროიზოლაცია და შეღებვა, რისთვისაც 4 339 143,41 ლარია გამოყოფილი. ამასთან, დაგეგმილია გადახურვის კონსოლურ ელემენტებს შორის ნალესის მოხსნა, კონსოლის ქვედა სიბრტყის შეღებვა და I და II იარუსის კიბის შუბლების მონიშვნა, რაზეც 237 778 ლარი დაიხარჯება. გარდა ამისა, ოთხი ტემპერატურული ნაკერის ქვეშ მდებარე ე.წ. სქაიბოქსების გადახურვის ნაწილობრივი ჰიდროიზოლაცია განხორციელდება, რისთვისაც 41 762,92 ლარია გამოყოფილი. დაგეგმილია, ასევე, უეფას ოფისების კეთილმოწყობა, რაზეც 100 000 ლარი დაიხარჯება. განხორციელდება გამაგრებითი სამუშაოების მესამე ეტაპი, რისთვისაც 704 304 ლარია გამოყოფილი. გასახდელების განყოფილებასა და VIP ლოჟაში უზრუნველყოფილი იქნება, ასევე, ელექტროგაყვანილობა, გათბობა-გაგრილება, ვენტილიაცია და სახანძრო სიგნალიზაცია, რაზეც 577 011 ლარი დაიხარჯება.

შალვა აბულაძის და ჩვენებაში ძმის „ფსიქიკურ გადახრებზე“ საუბრობს

პოლიციელების მკვლელობასა და დაჭრაში ბრალდებული შალვა აბულაძის დის, სალომე აბულაძის განცხადებით, მის ძმას ბავშვობაში „გარკვეული ფსიქიკური გადახრები“ ჰქონდა. ამის შესახებ სალომე აბულაძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება. ბრალდებულის დის ინფორმაციით, შალვა აბულაძე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ჯერ ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა, 2014 წლის ივლისიდან კი ისევ „რადიკალურად შეიცვალა“. სალომე აბულაძის განმარტებით, მისი ძმა ოჯახის წევრებზეც ძალადობდა, პირადად მას კი საადვოკატო ბიურო გადაუწვა.

„შალვა 2014 წლის ივლისიდან რადიკალურად შეიცვალა და კვლავ დაიწყო უკანონო ქმედებების ჩადენა, შეიცვალა ჩვენ მიმართაც, კერძოდ, ძალადობდა ოჯახის წევრებზე, რამდენჯერმე ფიზიკური ძალადობა განახორციელა ჩვენი მამის მიმართ. პირველი ასეთი შემთხვევის დროს ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ არ მიგვემართა სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ხოლო როდესაც იგივე მეორედ ჩაიდინა, მე მივიჩნიე, რომ იგი კვლავ საშიში იყო საზოგადოებისათვის. მივმართე ქ. ბორჯომის პოლიციას და განვაცხადე მისი დანაშაულის შესახებ (ჩემი მშობლები ცხოვრობენ ბორჯომში და შალვაც, ძირითადად, იქ იყო ხოლმე მათთან ერთად). პირობითი მსჯავრის დამთავრების შემდეგ მე მასთან აღარ მქონია ურთიერთობა, თუმცა, მესმოდა, რომ იგი თან ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს და დაუბრუნდა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასაც. ყოველივე ამის გამო მე ვცდილობდი უკვე იმას, რომ შალვა დაეკავებინათ, რადგან მეშინოდა, რომ კიდევ ვინმესთვის არ შეექმნა საფრთხე. ამის გამო ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენდა და მუდმივად მემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობითა თუ ქონების დაზიანებით. ჩემზე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც და ცდილობდა, მუდმივად ვყოლოდი შიშში. ამის გამო მე უკვე ვერიდებოდი და შევიცვალე საცხოვრებელი ადგილიც. შალვამ ჩემზე ზეწოლის მოხდენის მიზნით დამიწვა საადვოკატო ბიურო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში ონიაშვილის 69-ში და დამიზიანა ჩემი კუთვნილი ავტომანქანა. ეს მოხდა 2014 წლის 11 დეკემბერს, რის შესახებაც მივმართე სამართალდამცველ ორგანოებს და დაიწყო კიდეც გამოძიება, თუმცა ბრალი ვერ დაუმტკიცეს“, – ყვება სალომე აბულაძე ჩვენებაში.

მისივე თქმით, „შალვა აბულაძე ბავშვობიდან იყო საკმაოდ რთული და პრობლემური პიროვნება, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ფსიქიკური გადახრებიც“.

„თუმცა, როდესაც ექიმებთან მიჰყავდათ ჩემს მშობლებს, ისინი განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ მკურნალობას არ საჭიროებდა. ექიმების დარწმუნებას იგი ახერხებდა იმით, რომ იყო ძალიან გონიერი და ჭკვიანი ადამიანი, რასაც, სამწუხაროდ, მუდმივად იყენებდა იმისთვის, რომ სხვისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც ზიანი მიეყენებინა“, – განმარტავს ჩვენებაში ბრალდებულის და.

ვინ ესროლა ნაცებს წიწილებიანი კვერცხები?

გურჯაანში გამგეობის შენობასთან შეკრებილი „ქართული ოცნების“ აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ინფორმაცია არ აქვთ, ვინ ისროლა წიწილებიანი კვერცხები. „ინტერპრესნიუსის“ ადგილობრივ კორესპონდენტს აქტივისტების უმეტესობამ უთხრა, რომ კვერცხები, რომლებშიც წიწილები იყო, მათ არ უსვრიათ. „ქართული ოცნების“ აქტივისტები ასევე არ აკონკრეტებენ თუ საიდან მოიტანეს კვერცხები.

გურჯაანის გამგეობასთან ნაციონალური მოძრაობის „ანტიკორუფციული კომისიისა“ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის ვითარება კვლავ დაიძაბა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი გურჯაანიდან იუწყება, დაპირისპირება გამგეობის შენობასთან ნაციონალური მოძრაობის წევრების გამოჩენამ გამოიწვია. დაპირისპირების დროს ნასროლ კვერცხებში წიწილები აღმოჩნდა.

ტელევიზიაზე აღზრდილი თაობა

მშობლებისთვის აღზრდის გარდა, მნიშვნელოვანია გარემო, რომელიც ბავშვზე ზემოქმედებს. საგულისხმოა, რომ უფროსების მხრიდან სიფხიზლეა მოდუნებული მედია საფრთხეების მიმართ, რაც ბავშვის ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე აისახება.

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ჩატარებული გამოკითხვის დროს, არც ერთ რესპონდენტს ბავშვთან მიმართებაში პრობლემად არ დაუსახელებია ტელევიზია.

ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მედიარეგულაციისა თუ კანონის გამკაცრების შესახებ წამოჭრილ დისპუტში, არ დომინირებს მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის პოლიტიკის გადახედვა. აქამდე არ გააქტიურებულა უხამსობისა და ძალადობის წინააღმდეგ კოდექსში ჩადებული ნორმების განახლების ან ხელახლა დაწერის თემა.

დღესდღეობით ტელეკომპანიები კოდექსის მოთხოვნებს ფორმალურად ასრულებენ.

მოშლილი კონტროლის მექანიზმების გამო, ყველაზე ყურებად, საღამოს საათებში, ანუ ე.წ. პრაიმ-თაიმში მოზღვავდა მხატვრული ფილმები და ტელეგადაცემები, რომელთა ჩვენება არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის გამო აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში აკრძალულია 23.00 და 00.00 საათამდე. აქ უწინარესად მხედველობაში მაქვს არხები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ.

საშურია ნებისმიერმა მედიამ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას განსაკუთრებული ყურდღება ტელეეთიკაზე გადაიტანოს.

2015 წლის 15 თებერვალი. ტელეკომპანია „რუსთვი 2“ – სატელევიზიო შოუ „ექიმები“. ჩვენების დრო 18.45 საათი.

21 თებერვალი. გ/ჩვ-11.00 საათი.

თავად ტელეკომპანიას ქცევის კოდექსის მოთხოვნა არ დაურღვევია. წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში დაგეგმილ გადაცემაში მაყურებელი წინასწარ ვერბალურად გააფრთხილეს, რომ თემა სექსს ეხებოდა და პროგრამა შეიცავდა ბავშვებისთვის შეუფერებელ მასალას.

სამედიცინო თემა განსაკუთრებულია. ამის გამო, ეკრანთან დატოვებული არასრულწლოვანთა გარკვეული კატეგორიისთვის მიწოდებული მასალა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ზუსტი და ასაკის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

ამისი გაფიქრების საბაბი წამყვანების მიერ გამოთქმული წამახალისებელი ფრაზები და შეფასებები გახდა. სასურველი იყო ისინი არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, ბოლო 10 წელიწადში გაუარესებულ სტატისტიკას გაცნობოდნენ. ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, შოუში მონაწილე 15 წლის გოგონას ისტორია, რომელსაც მშობელმა აბორტის გაკეთება აიძულა, გადაცემის პათოსს მთლიანად შეცვლიდა.

დღესდღეობით საქართველოში, ყოველთვე 20-30 არასრულწლოვანი კლავს შვილს, რის გამოც 18 წლამდე აბორტგაკეთებულ გოგონებში 80-ჯერ გაიზარდა კიბოთი დაავადების ალბათობა.

ამ რეალობის ფონზე ეკრანთან თუ სტუდიაში მსხდომი თინეიჯერების გასაგონად გაისმა ფრაზები: **„ექიმები იმ 7 მიზეზის შესახებ გეტყვით, რის გამოც ამაღამ სექსით აუცილებლად უნდა დაკავდეთ“. „მარტო ამიტომ ღირს კვირაში 2-ჯერ დაკავდეს სექსით ადამიანი“.**

სასურველია რისკები, რაც ახლავს სექსუალურ გაუნათლებლობას და რამაც ახალგაზრდა თაობას თავისი დაღი უკვე დაასვა, მომავალში მაყურებლებამდე სხვაგვარად მიიტანონ. **მეეჭვება საზოგადოების გასალაღებლად მთელი გადაცემის მანძილზე წამყვანების მიერ სექსის გაუთავებელი ძახილი ზუსტი მიგნება ყოფილიყო.** ამ სიტყვის ალტერნატიული ფორმა ერთადერთხელ არასრულწლოვნებთან პირისპირ საუბრის დროს სიუჟეტის ავტორმა გოგონამ ახსენა.

მედიის გავლენა არასრულწლოვნებზე შესწავლილია და დადასტურებულია, რომ ტელევიზია სექსისადმი არაჯანსაღ ინტერესს ავითარებს და ცდუნების წყაროს წარმოადგენს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამაუწყებლო სივრცემ ამ შემოტევისგან დაცვის მექანიზმები საკანონმდებლო სისტემის გამართულობით უზრუნველყო.

ჩვენს მედიაში არსებულ ვითარებას სხვადასხვა ახსნა მოეძებნება. ყურადსაღებია სოციალური და პოლიტიკური ფსიქოლოგის მოსაზრება.

შალვა აბზიანიძე: **„დასავლეთში პორნოგრაფიულ ან ძალადობის ამსახველ ფილმებს სპეციფიკური მომხმარებელი ჰყავს და ასაკიც განსაზღვრულია. იქ ყველაფერი დიფერენცირებული და ჩარჩოებშია მოქცეული. ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთში ბავშვებს ასეთ რამეებზე იოლად არ მიუწვდებათ ხელი...**

ტელეკომპანიებმა „იმედმა“ და GDS-მა თავიანთ გადაცემებში „იმედის კვირა“ და „ბინა 18“ სწორედაც რომ ქართულ ტელესივრცეში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული რეალობა წარმოაჩინეს. 20.00 და 21.00 საათზე დაგეგმილ გადაცემებში მათ ცნობილი გამოცემა Playboy-ის ფოტომოდელის შესახებ მომზადებული მოცულობითი მასალა ხელმისაწვდომი გახადეს || ჯგუფის არასრულწლოვნებისთვის – 7-18 წლამდე ასაკის მაყურებლისთვის.

ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტი მოგვითხრობდა ქართველი გოგონას შესახებ, რომელმაც Playboy-სთვის გაიხადა. გაგვაცნეს მისი სამოდელო საქმიანობა. მანამდე რით იყო დაკავებული. ორივე გადაცემაში სტუდიაში უჩვეულო ფორმით წარდგენილ ფოტომოდელთან ისიც დააზუსტეს, მომავალში სითამამის რა ზღვარს გადალახავდა.

მსგავსი მასალის გავრცელებას ზღუდავს **ქცევის კოდექსი. 47-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტში სიტყვასიტყვით წერია, რომ რაც უფრო ადრეა საღამოს პროგრამა დაგეგმილი, მით უფრო შესაფერისი უნდა იყოს ის არასრულწლოვნებისთვის.**

ფაქტობრივად, Playboy არ იყიდება, თუმცა, ნებისმიერი ასაკის ტელემაყურებლებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ბავშვების უფლებები თითქმის ყველა ნაციონალურ არხზე ილახება.

2015 წლის 4 მარტი. საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“ – მხატვრული ფილმი „ბოლო გასეირნება“. ჩვენების დრო – 22.00 საათი.

ფილმი შემზღუდველი ნიშნის გარეშე აჩვენეს. მისთვის მინიჭებული ასაკობრივი ცენზია +15. როგორც ანონსიდან გაცხადდა, გარკვეულ დღეს, ახალ ქართულ კინოს აჩვენებენ პირველზე.

თქვენ ვერ დაასახელებთ, ბოლო წლებში გადაღებულ ქართულ ფილმს, რომელიც ძალადობის სცენებითა და შეურაცხმყოფელი ლექსიკით არ იყოს გაჯერებული. არც ზემოთ ნახსენები ფილმი ყოფილა გამონაკლისი. უპრეცედენტოდ ლიბერალური მაუწყებელთა ქცევის კოდექსის გამო, შეუზღუდავად ვრცელდება ამგვარი უცხოური და ქართული ფილმები და სერიალები, არაპოლიტიკური თოქშოუები, გადაცემების ანონსები, ახალი ამბები.

ჩვენგან განსხვავებით, უცხოეთში უფრო მკაცრდება სტანდარტები, რომლითაც მედია რეგულირდება. მაგალითად, იქაურ არხებზე უცენზურო გამონათქვამებს სმენადობის გარდა, ვიზუალურადაც შლიან ეკრანზე – პირის გარშემო მომენტალურად ჩნდება დაბურული წრე, რათა ტუჩების მოძრაობით არ მოხდეს სიტყვების ამოცნობა. რამდენიმე წლის წინათ, ცნობილი დიზაინერის ჯონ გალიანოს შელაპარაკება ერთ-ერთ მოქალაქესთან ხმოვანი სიგნალის გარდა, პირის გარშემო წარმოქმნილი დაბურული წრითაც გადაიფარა.

ხანგრძლივმა კვლევებმა ცხადყო, რომ შეურაცხმყოფელი ლექსიკა ძალადობრივი ქცევის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ფსიქოლოგების აზრით, ამგვარი სცენების ჩვენება განსაკუთრებით დაუშვებელია უფროსკლასელებისთვის, ვინაიდან სისასტიკის მოდელირების რისკი ამ ასაკში უფრო მაღალია. შექმნილ ვითარებაში მედიაგანათლების შემოღებას ემხრობა სოციალური მეცნიერებების მკვლევარი, რომლის ერთ-ერთ განსაკუთრებულ სფეროს ბავშვებზე მედიის გავლენის შესწავლა წარმოადგენს.

გიორგი ყიფიანი: „მედიაგანათლება აუცილებელია იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კატეგორიზაცია მოგვარებულია. ადრე თუ გვიან არასრულწლოვანი მაინც მოხვდება მედიის გავლენის ქვეშ და მშობელი მომზადებული უნდა იყოს, მისი ფსიქიკაც დაუპირისპირდეს ასეთ ზეგავლენას.“

მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე 16-დან 22 თებერვლამდე, კატეგორიზაციის გარეშე ნაჩვენები მხატვრული ფილმებიც განუკითხაობაზე მეტყველებს. დააკვრდით ორივე ფილმის ჩვენების დროს.

2015 წლის 19 თებერვალი. აჭარის ტელევიზია – მხატვრული ფილმი „მეოცე საუკუნე“ (რეჟ. ბერნარდო ბერტოლუჩი. მთავარ როლებში: რობერტ დე ნირო, ჟერარ დეპარდიე). ჩვენების დრო – 21.40 საათი.

2015 წლის 21 თებერვალი. ტელეკომპანია „მაესტრო“ – რუსული მხატვრული ფილმი „ღამის გუშაგი“. (რეჟ. ტიმურ ბეკმამბეტოვი. მთავარ როლებში: კონსტანტინ ხაბენსკი, ჟანა ფრისკე). ჩვენების დრო – 22.30 საათი.

გვსმენია რაიმე ამ დარღვევებზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან რეაგირების შესახებ? მაუწყებელთა რეგულაციის სფეროს სწორედ აღნიშნული კომისია განკარგავს.

საგულისხმოა, რომ გავლენიანი ტელევიზიების არასასურველი შოუებისგან განთავისუფლების ქართული მიდგომაა – პულტის ღილაკზე თითის დაწკაპუნება. რასაკვირველია, ასეთი გადაცემების ნახვა ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა კანონის მიხედვით, არსებობს დრო, როცა ამა თუ იმ ფილმის, გადაცემის გაშვება ტელევიზიით არ შეიძლება.

დღესდღეობით მსხვილი, ეროვნული დაფარვის მქონე მედია საკუთარ რეიტინგებსა და კომერციულ ინტერესებს კანონზე მაღლა აყენებს. ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს.

სამშობლოში 8-წლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებული ქართველი მწერალი ნიუ-იორკში ცხოვრების შესახებ საუბრისას კულტურულ მიმართულებებზე მიანიშნებს: **„გამორიცხულია სექსის პროპაგანდა, უფრთხილდებიან ბავშვებს... ახლა შეადარეთ ჩვენს ტელევიზიებს“.**

ევროპის ქვეყნებისა და აშშ-დან დაბრუნებული ჩვენი თანამემამულეებისთვის თვალხილულია განვითარებული ქვეყნებისა და ჩვენ მედიას შორის წლების მანძილზე წარმოშობილი სხვაობა.

სალომე რამიშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თრანზები

● **კვერცხი კვერცხსა შემოსტყორცნა, ნაც-კვერცხისა დადგა გორი!**

● **ვაქირავებ ბინას 2 სტუდენტ მარგველაშვილზე.**

● **თურქეთში სამუშაოდ წასული კაცი, უკრაინაში იბრძოდა საქართველოსთვის, ამიტომ ყველა ხარჯს სახელმწიფო გაიღებს.**

ამ ამბავს, ღირებულებების აღრევასთან ერთად, ტვინების აღრევაც ჰქვია!

● **„იმედის კვირის“ თემებმა (რეპორტაჟი მოკლული პოლიციელების ოჯახიდან; სუიციდის მეხუთე შემთხვევა ამ კვირაში; უკრაინაში დაღუპული ჯარისკაცი, მეტსახელად „სატანა“; ფიზიკური ძალადობა ზემო ხანდაკის სასაფლაოზე; რას ითხოვს მოკლულის ოჯახი; მსახიობის დაკრძალვა; პორნოგრაფი კარატისტი...), პოსტეროვნული (1993-1994 წწ.) საქართველოს საგაზეთო სათაურები გამახსენა: „ცნობილმა რეჟისორმა კოლეგა სასიკვდილოდ გაიმეტა“; „მაჭარაშვილი პოლიციაში მოკლეს“; „ციხიდან საკუთარ დაკრძალვაზე“; „შიში და კვნესა აბასთუმნის ქუჩაზე“; „მოვკალი, მაგრამ თავები მე არ მომიჭრია“; „დაახრჩვეს და გააუპატიურეს“; „ნაჯახით დაჩეხილი ცოლი“; „თავგანისთვის ორი გვამი“; „მკვლელობა საახალწლო ნაძვის ხის წვიმებით“; „ხალადეცი ქმრის ყურებისაგან“...**

ერთი სიტყვით, ნამდვილი საკვირაო გადაცემა იყო, ოპტიმიზმით და ენერგიით რომ აგავსებს კაცს მომავალი სამუშაო კვირის წინ და დუტას და ნანუკა ხაზარაძის მოსაკლისება რომ არა, ჭეშმარიტი ზეიმი იქნებოდა...

● **მაიტა, მე გადავალ ათონელზე და ამას გავაქირავებ..**

● **პრესის ფურცლებიდან:**

„ნიკა მელიას თავში კვერცხი გაარტყეს – დაპირისპირება გურჯაანში“.

რა უნდა ვთქვა, კარგად ცხოვრობენ გურჯაანელები.

მშურს!

კვერცხი თუ აქვთ ტყვილად გასატეხი, ნამდვილად არ მეგონა. მე აქ ქალაქში უკვერცხობით ვიტანჯები და ვხმები, ისინი კი მელიას თავს უჭახუნებენ კვერცხებს.

პატივცემულო გურჯაანელებო!

თუ გაქვთ ზედმეტი კვერცხი გასატეხი, გამომიგზავნეთ მე!

მე კი სანაცვლოთ აგურს გამოგიგზავნით.

დამიჯერეთ, სასროლად უკეთესია.

არ ტყდება მაინც.

თუმცა, ზოგიერთის თავი ისეთია, აგურს კი არა, ბეტონის ბლოკს გაუძლებს.

● **გიორგი მარგველაშვილი – იპოთეკით დაზარალებული პრეზიდენტი!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

დავით ნარმანია იპოთეკით დაზარალებულებს 27 აპრილს შეხვდება

იპოთეკით დაზარალებულებს დედაქალაქის მერი დავით ნარმანია 27 აპრილს, დღის მეორე ნახევარში შეხვდება. თბილისის მერიის შენობასთან იპოთეკით დაზარალებულთა აქცია დასრულდა.

„მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემების მოგვარება თბილისის მთავრობის კომპეტენციაში არ შედის, თბილისის მერი მზად არის, ორშაბათს შეხვდეს იპოთეკით დაზარალებულებს და ცენტრალურ ხელისუფლებასთან შუამავლობა გაუწიოს“, – განუცხადა ჟურნალისტებს თბილისის მერის სპიკერმა გვანცა პაპავაძემ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მოკლული დათვის ტყავი

2014 წლის მარტში დათვი, რომელსაც, ჩვეულებრივად, რუსეთს ან რუსეთის ფედერაციას უწოდებენ, მოკვდა. მოკვდა იგი, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ უარი განაცხადა, წყნარად და მშვიდად ეცხოვრა სხვა მხეცებთან ჩვენს ცივილიზებულ ზოოპარკში.

ვიყოთ გულახდილები, მშვიდობისმყოფელი ეს დათვი არასოდეს ყოფილა. მაგრამ 1991 წელს გვეჩვენა, რომ დათვი დამშვიდდა და თაფლის გარდა მას აღარაფერი უნდოდა. თუმცა, 1994-1996 წლებში დათვმა დაგლიჯა ჯერ ერთი ჩეჩნური ცხვარი, შემდეგ 1999-2000 წლებში – მეორე. 2008 წელს დაგლიჯა ქართული მთის თხა, 2014 წლის მარტში კი, აბსოლუტურად მოულოდნელად ზოოპარკის ყველა მცხოვრებთათვის, შევიდა მასანდრის ვენახებში და ისინი თავის ბუნაგად გამოაცხადა. ყველა მხეცი ასეთმა თავხედობამ გააოცა, ვინაიდან მასანდრის ვენახები ეს მაინც – არა ავღანური სახედარია, რასაც დათვი 10 წელი მისდევდა, თუმცა, მასაც ვერ დაეწია.

ახლა კი მივმართოთ საქართველოს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის სიტყვებს რომელიც მან 16 აპრილს ტელეარხ „იმედის“ ეთერში წარმოთქვა. ვერაფერს, გარდა გაუგებრობისა, ნათქვამი ვერ გამოიწვევს. მოდით, როგორც პირველ კლასში, ფრაზების მიხედვით გავერკვეთ ბურჯანაძის თხზულებაში თემაზე „ყირიმი ოდითგანვე რუსული მიწაა“.

პირველი ფრაზა: „მსოფლიო წესრიგი ხშირად ირღვევა, რაც ძალიან ბევრი სახელმწიფოს მოქმედებაში გამოიხატება, და ეს არა მხოლოდ ყირიმში“.

როდესაც სკოლაში ვსწავლობდით, ამას „წყლის ნაყვას“ ეძახდნენ – ტექსტი არის, აზრი კი არა. დავაზუსტებთ, ყირიმთან დაკავშირებით ჩვენ არ გვაინტერესებს „ძალიან ბევრი სახელმწიფოს ქცევა“ მსოფლიოში, გვაინტერესებს დიდი სახელმწიფოს რუსეთის მოქმედებები თავის მეზობელთა დამოუკიდებელ ევროპულ სახელმწიფოსთან უკრაინასთან დაკავშირებით. და აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „მსოფლიო წესრიგი“ დაარღვია მხოლოდ რუსეთმა და მხოლოდ ყირიმთან დაკავშირებით, ვინაიდან აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთიც კი ფორმალურად არ ყოფილა ანექსირებული რუსეთის მიერ.

მეორე ფრაზა: „ფაქტია, რომ ყირიმი დღეს რუსეთის ნაწილია და ამიერიდან აღარასოდეს გახდება უკრაინის ნაწილი“.

დიდი კითხვა. 1989 წლამდე თავში არავის მოსვლია, რომ საბჭოთა კავშირი ელვისებურად დაიშლება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რომ დაინგრევა ვარშავის ხელშეკრულება, რომ პოლონეთი ბალტიისპირეთთან ერთად შევა ნატოში. 1989 წელს ბურჯანაძეს, რომ წარმოეთქვა: „ფაქტია, რომ საქართველო დღეს რუსეთის ნაწილია და იგი ამიერიდან არასოდეს არ გახდება დამოუკიდებელი“, შემდეგ მას მოუწევდა, მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ყოფილიყო გაწითლებული და მას ლიდერობა უზრუნველყოფილი ექნებოდა მხოლოდ ერთ მოძრაობაში: საქართველოს შეერთება რუსეთთან.

მესამე ფრაზა: „უკრაინის ხელისუფლებამ დასავლეთის გარკვეული მიმნებებლობის პირობებში დაუშვა რადიკალური და პრინციპული შეცდომები, რასაც შედეგად ყირიმში განვითარებული მოვლენები მოჰყვა“.

მართლაც, „შეცდომები“ დაშვებული იქნა. რუსეთისაგან განსხვავებით, რომელმაც მოახდინა სიტუაციის დესტაბილიზაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რამაც ამ რესპუბლიკიდან ქართული მოსახლეობის გაქცევა გამოიწვია, უკრაინამ დატოვა ყირიმი ისეთად, როგორიც იგი იყო: მრავალეროვნულად, უმთავრესად რუსი ეროვნებით. 2014 წლის მარტშიც კი უკრაინის მთავრობას არ გაუცია ბრძანება, ესროლონ ოკუპანტებს: შეუძლებელი იყო წარმოგვედგინა, რომ „მოძმე“ რუსეთი თავს დაესხმოდა „მოძმე უკრაინელ ხალხს“. დასავლეთმაც, რასაკვირველია, დაუშვა „პრინციპული შეცდომები“: არ დაეხმარა საქართველოს მისი 2008 წლის ომის დროს და მის შემდეგ. ვერ დაიანგარიშა, რომ რიგში დგას უკრაინა, არამედ მშვიდად უყურებდა ტელევიზორით ოლიმპიურ თამაშებს სოჭში.

მეოთხე-მეხუთე ფრაზა: „დღეს ფაქტია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთოდ დაივიწყა ყირიმის შესახებ... შექმნილი რეალობის შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნები და დღეს ეს ფაქტია, რომ უკვე არც ერთი სახელმწიფო არ საუბრობს ყირიმზე“.

აი, ეს კი აბსოლუტური სიცრუეა. არც ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო მოღვაწეს არ განუცხადებია, რომ აღიარებს ყირიმის ოკუპაციას რუსეთის მიერ. აბსოლუტურად ყველა ამტკიცებს, რომ ურთიერთობები რუსეთთან არ შეიძლება იქნეს ნორმალიზებული მანამ, სანამ რუსეთი არ დააბრუნებს ყირიმს, თანაც რაც მეტი დრო გადის, მით უფრო მკაფიოა „საერთაშორისო გაერთიანების“ ეს პოზიცია.

რუსი დათვი 2014 წლის მარტში აღმოჩნდა ხაფანგში, რომელიც თავადვე დააგო და საიდანაც ვერასოდეს დააღწევს თავს. გახსოვთ, წითელ მოედანზე თავის სიტყვაში, რომელიც ყირიმის ოკუპაციის წლისთავს მიეძღვნა, 2015 წლის 18 მარტის პუტინმა განაცხადა: „ჩვენ დავძლევთ სირთულეებს, რომლებსაც ჩვენ თქვენთან ერთად ვქმნით ჩვენთვის მთელ ბოლო დროის განმავლობაში“. სირთულეებს რუსეთი მართლაც იქმნის თავისთვის, თანაც მათი შექმნა ადვილია, დაძლევა კი ძალიან რთული. რუსეთი მათ დაძლევას ვერ შეძლებს.

სრულიადაც არა, იმისთვის, რომ ვაწყენინო „დემოკრატიული მოძრაობის“ ქართველ ლიდერს, მე მინდოდა დამემატებინა, რომ უკრაინას მეტი შანსი აქვს დაიბრუნოს ყირიმი, ვიდრე საქართველოს – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძის აზრით ყირიმის რეფერენდუმი რუსეთთან მიერთების შემდეგ არის ლეგიტიმური“, რეფერენდუმები კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ – არა. „რეფერენდუმები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მოეწყო ისე, რომ მათში მონაწილეობა არ მიუღიათ იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ რეგიონებში კონფლიქტამდე... რეფერენდუმები, რომლებშიც მონაწილეობა არ მიუღია ასეული ათასობით ადამიანს. ისინი ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილი იყვნენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ლეგიტიმურებად“.

ყველაფერი, რაც ბურჯანაძემ თქვა, ადვილად შეიძლება მიუსადაგო თავად საქართველოს. თუ მის ტექსტში „უკრაინას“ შევცვლით „საქართველოთი“, „ყირიმს“ „აფხაზეთითა და სამხრეთი ოსეთით“, მივიღებთ განცხადებას, რომლის შემდეგაც ქართული მოძრაობის ლიდერისთვის უმჯობესი იქნებოდა გადამდგარიყო: „მსოფლიო წესრიგი ერთობ ხშირად ირღვევა, რაც გამოიხატება ძალიან ბევრი სახელმწიფოს მოქმედებებში, და ეს შეეხება არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ფაქტია, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, ფაქტობრივად, რუსეთის ნაწილია და აღარასოდეს აღარ გახდება საქართველოს ნაწილი. საქართველოს ხელისუფლებამ დასავლეთის გარკვეული მიშვებულობის შედეგად დაუშვა რადიკალური და პრინციპული შეცდომები, რომელთა შედეგებიც გახდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები. დღეს ფაქტია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთოდ დაივიწყა ისინი. შექმნილი რეალობის შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა და დღეს ეს ფაქტია, რომ არც ერთი სახელმწიფო არ საუბრობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე“.

შევაჯამოთ შედეგები. ყირიმის ანექსიიდან ერთი წლის შემდეგ რუსეთი კვლავ აცხადებს იმის შესახებ, რომ ყირიმი უძველესი რუსული მიწაა. ამისი არა სჯერათ, როგორც სჩანს, მხოლოდ რუსეთში. უკრაინელები უკვე ერთი წელია, იბრძვიან მტრის ჭარბ ძალებთან. დანებებას არავინ აპირებს. ინგლისელებმა, კანადელებმა, ამერიკელებმა გამოაგზავნეს უკრაინაში პირველი ინსტრუქტორები. გერმანელები იძლევიან სესხებს. პოლონელები ბალტიისპირელებთან ერთად გვეხმარებიან, რითაც შეუძლიათ. ფრანგებმა უარი განაცხადეს მისცენ რუსეთს „მისტრალები“. ფრანგებისთვის ეს ძალიან დიდი პროგრესია აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით – გასულ ომში მათ ჰიტლერს პარიზი უბრძოლველად გადასცეს. უნგრელები კუდს აქიცინებენ – ისინი ჰიტლერთანაც მოკავშირეები იყვნენ. ჩეხები თავკერძულად იქცევიან – ისინი ასეთ წინააღმდეგობას ჰიტლერსაც არ უწევდნენ.

ერთი სიტყვით, დღეს ჩვენთან საქმე გაცილებით უკეთესადაა, ვიდრე 1999 წლის აპრილში. ყირიმი, უეჭველია, კვლავ ჩვენი იქნება, უკრაინისა, არაუგვიანეს 2020 წლისა. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ეს საკითხიც, ვფიქრობ, გადაწყდება არა მოსკოვში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთ.

УКРАЇНСЬКА ПРАВДА

დედამიწის ზურგზე

ჩეხეთის პრეზიდენტმა რუსეთის თავდასხმა ბალტიისპირეთზე წარმოუდგენლად მიიჩნია: „პუტინი თვითმკვლელი არაა“

ასეთი კომენტარი გააკეთა მილოშ ზემანმა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის შეშფოთებაზე რუსეთის ფედერაციის შესაძლო აგრესიასთან დაკავშირებით ამ რეგიონში, რისიც მათ ეშინიათ. ჩეხეთის ლიდერი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთის რეაქცია არ შემოიფარგლება პოლიტიკური და ეკონომიკური ზომებით – პასუხი სამხედრო ოპერაცია გახდება.

ნიუ-იორკში აუქციონზე 22,1 მილიონ დოლარად გაიყიდა „იდეალური ბრილიანტი“

უნიკალური ქვის დაწახნაგებას დაახლოებით ერთი წელიწადი დასჭირდა. ალმასის მასა 200 კარატს აჭარბებდა. შედეგად მან წონაში თითქმის ნახევარი დაკარგა. მყიდველის პიროვნებას არ ახმაურებენ, ცნობილია მხოლოდ, რომ ის გარიგების შესახებ საუბრობდა ტელეფონით.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში პოლიტიკას რუსეთთან დაკავშირებით ნატოს პრიორიტეტი უწოდეს

„ერთ-ერთი პრიორიტეტი – ესაა რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“, – თქვა ჯონ კერიმ. ის ნეგატიურად გამოეხმაურა რუსეთის პოლიტიკას უკრაინასთან დაკავშირებით. „ნატოს ერთ-ერთი პრიორიტეტია რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“, – დაუმატა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

ობამამ განაცხადა, რომ რუსეთის C-300-ები ვერ დაიცავენ ირანს

„ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი 600 მილიარდ დოლარზე ოდნავ ნაკლებია. თუ ირანელები მიიღებენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, მაშინ, ისევ აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ ამ დაცვის დაძლევას“, – დაგვარწმუნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამულის“ ხელმძღვანელები (მარცხნიდან) როლანდ ქავთარაძე, თენგიზ დუმბაძე, ოთარ ხოსიტაშვილი და ავთანდილ ყვინჩია

სიკეთისთვის დაბადებულნი

ბაცნობთ ბელარუსში ომში დაღუპულ და დღეს იქ მცხოვრებ ქართველებს

ვლადიმერ სოხაძე 1970 წელს ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 15 წელი სსრ კავშირის არაშავნიადაგიანი ზონის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1990 წელს მას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიანიჭეს. მის სამეცნიერო ანგარიშზე სსრ კავშირის 12 გამოგონება, ათობით სამეცნიერო პუბლიკაცია და პატენტებია. სამრეწველო წარმოებაში ინტეგრალური სისტემების დანერგვისთვის მას „სსრ კავშირის გამომგონებლის“ წოდება მიანიჭეს. სსრ კავშირის კრახის შემდეგ ვ.შ.სოხაძემ შექმნა და სათავეში ჩაუდგა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეცნიერო-საწარმოო საზოგადოებას „ალკიდი“, რომელმაც ძალიან მალე ბელარუსში ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დამცველი იმპორტშემცვლელი მასალების დანერგვის დარგში ლიდერის პოზიცია დაიკავა.

სოხაძის საწარმომ (სიყვარულით ასე უწოდებენ აქ სამეცნიერო-საწარმოო საზოგადოება „ალკიდს“) ბელარუსში ერთ-ერთმა პირველმა აითვისა ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამრეწველო წარმოება და თანამედროვე ჰიდროიზოლაციური და სახურავის მასალების ფართო დანერგვა მოდიფიცირებული ბიტუმის საფუძველზე. ამ მასალებს დღეს ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის სამშენებლო, მანქანათმშენებლობის, კომუნალურ და სხვა დარგებში და არა მხოლოდ ბელარუსში. დამაინტერესა ამ საწარმომ, რომელიც მინსკშია, და მის ძმასთან ვლადიმერ სოხაძესთან ერთად მივედი იქ. პირველი შთაბეჭდილება იყო ის, რომ მოვხვდი კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოში – ირგვლივ და შიგნით იდეალური სისუფთავეა. საწარმოს სტრუქტურაში შედის სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორია და საბიტუმო-პოლიმერული ემულსიებისა და მასტიკის საწარმოო უბანი. ყველა აგრეგატი და მექანიზმი, ძირითადად, ბელარუსულია. აქ 30 თანამშრომელი მუშაობს. კადრების შერჩევას აწარმოებს თავად ვლადიმერ სოხაძე, რომელსაც აქ მისი უბრალოებისა და თავმდაბლობისთვის, მაღალი ორგანიზატორული ჩვევებისა და თანამშრომლებისადმი გულთბილი დამოკიდებულებისადმი აღმერთებენ.

– რა კარგი იქნებოდა, საქართველოშიც რომ გვქონდეს ასეთი საწარმო, რომლის პროდუქციაც უზრუნველყოფდა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას, არამედ მისი ექსპორტირების საშუალებასაც მოგვცემდა, – შურით წარმოვთქვი. რაზეც, მცირე ხნის დუმილის შემდეგ, ბატონმა ვლადიმერმა ერთობ შეწუხებულმა მიპასუხა: „რამდენიმე წლის წინათ ამ მიზნით ჩავედი საქართველოში, მაგრამ ვერანაირი დაინტერესება იქ ვერ აღმოვაჩინე...“ (?!).

ბელარუსში ქართული დიასპორის ერთ-ერთი აქტიური წევრის შესახებ ჩემი მოკლე საუბარი რომ დავამთავრო, აღვნიშნავ: სოხაძის საწარმო სასპონსორო დახმარებას უწევს ბავშვებს, ვეტერანებს, ინვალიდებს, სპორტულ და რელიგიურ ორგანიზაციებს, რაზეც მრავალრიცხოვანი სამადლობელი სიგელები, დიპლომები, ვიმპელები მეტყველებენ, მათ შორის სრულიად ბელარუსის მინსკისა და სლუცკის საპატრიარქო ეგზარქოსისგანაც.

უფროს ძმას სასიკეთო საქმეებში არც სერგი სოხაძე ჩამორჩება – ბელარუსის ერთ-ერთი უძლეველი სპორტსმენი ძიუდოში. ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი თანამემამულე მრავალი წლის განმავლობაში ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა, პენსიაში პოლკოვნიკის წოდებით გავიდა. ბატონი სერგი 20 წელი სათავეში ედგა ბელარუსის ძიუდოს ფედერაციას, შეჰქონდა მნიშვნელოვანი წვლილი სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. ის მრავალგზის მონაწილეობდა თბილისში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში ბელარუსის ნაკრების შემადგენლობაში. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალგზის ჩემპიონს, მრავალი დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორს სერგი სოხაძეს დღესაც ნამდვილი სპორტული მეგობრობა აკავშირებს შოთა ჩოჩიშვილთან და თემურ ხუბულურთან, შოთა ხაბარელთან და ამირან ობგაიძესთან, დავით ბერძენიშვილთან, სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს თავის დიდ მეგობრებს – მასწავლებლებს ძიუდოში ანზორ კიკნაძეს, ბიძინა მაზიაშვილს, გურამ პაპიტაშვილს. ბატონი სერგის უფროსი ვაჟი ვახტანგ სოხაძე – ბელარუსის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენია. ის არის სპორტის ოსტატი სამბოში, ძიუდოსა და ხელჩართულ ბრძოლაში, უნივერსალურ ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

ძმები სოხაძეების წყალობით ბევრი რამ საინტერესო გავიგე იმ ჩვენი თანამემამულეების წარმატებული საქმეების შესახებ, რომლებიც დღეს მოგილიოვის ოლქში ცხოვრობენ და მუშაობენ. აქ ადგილობრივ ქართულ დიასპორას ხელმძღვანელობს საქართველოს დიდი პატრიოტი, კახელი ვაჟა სეფიაშვილი. ის მეწარმეა, ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ყველა იმ საქმეში, რომლებიც მის სამშობლოს უთქვამს სახელს.

1975 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტუდენტების გაცვლის შედეგად, ბელარუსში აღმოჩნდა ჭიათურელი იური შერგილაშვილი. აქ, მოგილიოვოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დღეს მოგილიოვის უნივერსიტეტის სპეციალური ფსიქო-პედაგოგიური დისციპლინების კათედრის გამგეა. ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩავიდა ბელარუსში გიორგი კვასტიანი, რომელიც მოგილიოვში ადგილობრივი უნივერსიტეტის მუსიკალური აღზრდის კათედრის დოცენტია. და აი, უკვე ათზე მეტი წელია, წარმატებით ხელმძღვანელობს ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს. ადგილობრივ ქართულ დიასპორაზე ბევრი კარგი რამ მიამბო მოგილიოვის ოლქის გუბერნატორმა პიოტრ რუდნიკმა. სხვათა შორის, მან ვერ შეძლო, დაეფარა თავისი აღფრთოვანება გორელი აკაკი ინაურის ფერმერული საქმიანობის შესახებ, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ თავისი მშობლიური ქალაქიდან ქართლის ვაშლის საუკეთესო ნერგები ჩამოიტანა და აქ შექმნა ვაშლის საბაღო მეურნეობა, რომელიც მომხმარებელთა განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობს.

... „2006 წლის 26 ოქტომბერს, – მეუბნება ბელარუსში ქართული სათვისტომოს მეთაური, 57 წლის ქართლოს ქავთარაძე, – ჩვენ გადავწყიტეთ, შეგვექმნა ჩვენი დიასპორა, რათა ერთმანეთს მძიმე მომენტში დავეხმაროთ, ერთად გადავწყვიტოთ არსებითი ხასიათის პრობლემები, აგრეთვე პროპაგანდა გავუწიოთ საქართველოს კულტურასა და ხელოვნებას, ვილაპარაკოთ სიმართლე ამ ცოტა ხნის წინანდელ ტრაგიკულ მოვლენებზე“.

აი მაშინ, ქართველთა დიდი რაზმის 79 წარმომადგენელმა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა მოტივით აღმოჩნდა ბელარუსში, შეიქმნა საზოგადოებრივი გაერთიანება „საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამული“. მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი ქართლოს ქავთარაძე, წარმოშობით დუშეთიდან. წარსულში – ძიუდოში საერთაშორისო შეჯიბრებათა გამარჯვებული და პრიზიორი.

„ოფიციალური მონაცემებით, დღეს ბელარუსში დაახლოებით ოთხი ათასი ქართველი ცხოვრობს, – განაგრძობს ქ.ქავთარაძე. – არაოფიციალურით – თითქმის ორჯერ მეტი. ბევრია ლტოლვილი საქართველოდან, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონებიდან. ჩვენ ვეხმარებით მათ, მონახონ საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, მხარს ვუჭერთ მატერიალურად“.

მინსკში „მამულის“ პროტექტორატით მოქმედებს საკვირაო სკოლა, სადაც ქართული ენის კურსები ეწყობა.

მეცადინეობას უძღვება კვალიფიციური მასწავლებელი, ქართული ენის თვითმასწავლებლის ავტორი მ.შ.აკობია. მინსკში ეროვნულ კულტურათა ცენტრში წარმატებით მუშაობს ბავშვთა ანსამბლი „ევრიკა“, მასში გაკვეთილებს ქართველი პედაგოგები ატარებენ.

ჩვენს თანამემამულეებს არც ქველმოქმედება ავიწყდებათ. უკვე მრავალი წელია, ისინი მეურვეობას უწევენ დედაქალაქის ბავშვთა № 5 სახლს. ბავშვებისთვის აწყობენ საზეიმო წარმოდგენებს, ამზადებენ საჩუქრებს.

ორმეტრიანი ტორტი „საქართველო“

ამ თვალსაზრისით ბევრ კარგ საქმეს აკეთებს მინსკში რესტორან „ბაგრატიონის“ დირექტორი, საქართველოს დიდი პატრიოტი მამუკა ბერძენაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული. სხვათა შორის, შარშან ზაფხულს მინსკში გასტროლებზე მყოფ სანდრო ახმეტელის სახელობის ქართული თეატრის კოლექტივს მფარველობას უწევდა, როგორც ეს ქართველს შეეფერება, მამუკა ბერძენაძე. იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა კოლექტივზე, რომელიც მინსკში იმყოფებოდა, იქნებოდა ეს კოლექტივი სპორტული თუ თეატრალური.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლ „მზიური საქართველოს“ ნაყოფიერი საქმიანობა, რომელსაც სულიკო და სვეტლანა იოსელიანები ხელმძღვანელობენ. ცოლ-ქმარი აწყობენ მეცადინეობას ქართულ ცეკვაში ყველა მსურველისთვის, ასეთი კი აქ ცოტა როდია. ანსამბლი „მზიური საქართველო“, რომელიც ბელარუს მაყურებელში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს და არაერთგზის მოუპოვებია უმაღლესი ჯილდოები. სულიკო და სვეტლანა იოსელიანების სამეურვეო ობიექტებზე ისევე როგორც ქართლოს ქავთარაძისა, და მთლიანად ქართული დიასპორისა, გატაცებით მიამბობდა სახელმწიფო დაწესებულება „ბელარუსის ეროვნული კულტურის რესპუბლიკური ცენტრის“ დირექტორი მიხაილ რიბაკოვი: „არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართლოს ქავთარაძე და სულიკო იოსელიანი არ გამოგვხმაურებოდნენ ჩვენს თხოვნაზე – მოეწყოთ საქველმოქმედო კონცერტი არა მხოლოდ მინსკში, არამედ ბელარუსის სხვა ქალაქებსა და სოფლებში“. ჩემთან საუბარში მიხაილ რიბაკოვმა მოიყვანა მინსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნიკოლაი ლადუტკოს სიტყვები იმის შესახებ, რომ „ქართველები სიკეთის მკეთებლებად არიან დაბადებულნო!“

ბელარუსში ქართული დიასპორის აპოთეოზად იქცა ეროვნულ კულტურათა X საიუბილეო ფესტივალი, რომელიც შარშან ქ.გროდნოში გაიმართა და რომელიც დღეასწაულის დღეებში ბელარუსის მრავალეროვნულ დედაქალაქად იქცა. შარშან აქ ჩამოვიდა1000-ზე მეტი მონაწილე და 500 უცხოელი სტუმარი. თავიანთი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები წარმოაჩინეს 44 დიასპორამ, 26 საზოგადოებრივმა ეროვნულ-კულტურულმა გაერთიანებამ. აქ მოეწყო 22 ეროვნული ფუნდუკი. თავიანთი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დემონსტრირება მოახდინეს რუსებმა და უკრაინელებმა, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა, ლიტველებმა და ესტონელებმა, და ბევრმა, ბევრმა სხვამ. ებრაელები ყველას უფასო მაცათი უმასპინძლებოდნენ, ნებას აძლევდნენ ხელით შეხებოდნენ თორის გრაგნილებს, ბერძნებმა მოაწყვეს ღმერთების დღესასწაული ოლიმპის მითიდან... ქართველები კი ყველას უმასპინძლდებოდნენ მწვადებით, ჩურჩხელებით, სულგუნით, ქართული პურით, მაგიდაზე კი განათავსეს სიგრძით ლამის ორმეტრიანი უზარმაზარი ტორტი, რომელიც საქართველოს რუკის იმიტირებას ახდენდა, ბუნებრივია, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ჩართვით. სხვათა შორის, ქართველებთან ერთად იყვნენ აფხაზებიც, ოსებიც – ესეც თქვენი სახალხო დიპლომატია – სიყვარულისა და სიკეთის, მეგობრობისა და ურთიერთხსნის, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის დიპლომატია: ანსამბლმა „მზიურმა საქართველომ“ დაგეგმილი ორი კონცერტის ნეაცვლად „ბისზე“ ხუთი ცეცხლოვანი გამოსვლა გამართა, დაიპყრო გროდნოს და მისი მრავალრიცხოვანი სტუმრის გული...

მიუხედავად ბელარუსის ხელისუფლების მეტად კეთილმოსურნე დამოკიდებულებისა ქართველებისადმი მრავალათასიანი ქართული დიასპორის უდიდესი უმრავლესობა ოცნებობს დაბრუნდეს სამშობლოში. მაგრამ დღემდე არსებითი პოზიტივი ჯერჯერობით არ იგრძნობა. დაეხმარონ თავიანთ თანამემამულეებს, გადაწყვიტონ მტკივნეული საკითხები – უწინარეს ყოვლისა, ამის ვალდებულია სახელმწიფო კომიტეტი დიასპორის საკითხებში საქართველოს მთავრობასთან ერთად. ძველი ფილოსოფოსის ხატოვანი გამონათქვამის შესაბამისად: „ქვების შეგროვების დროა!“

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.
თბილისი-მინსკი-ბრესტი,
გროდნო-ვიტებსკი-გომელი-მოგილიოვი.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 71-72

◎ ფეხბურთი

ეს (არ) უნდა მომხდარიყო

„პორტუ“ ბავარიის დედაქალაქში ყინჩად კი ჩავიდა, მაგრამ პირველივე ტაიმში დადო კვერცხი.

ჯერ ის ვიკითხოთ, რას ეფუძნებოდა სტუმართა ოპტიმიზმი. როცა მეტოქეს რობენი, რიბერი, შვაინშტაიგერი და ალაბა აკლია, თანაც ზურგს ერთი კვირის წინათ მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა გიმაგრებს, დიახაც, გექნება საბოლოო წარმატების იმედი. მაშ, რამ განაპირობა ასეთი ფიასკო??გვარდიოლას ფაქტორთან ერთად ორრაუნდიანი დუელის ბედი მნიშვნელოვანწილად მასპინძელთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ და გერმანულმა საბრძოლო სულმა განაპირობა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელი კომპონენტების წინაშე შარშანდელ ბრაზილიურ მუნდიალზე უძლურნი თვით პენტა კამპეონები აღმოჩნდნენ, ისინი კი, მოგეხსენებათ, სწორედ პორტუგალიელებს ენათესავებიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეკორდმაისტერი ბუნდესმანშაფტის საბაზო კლუბია (ნოიერი, ლამი, ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი, გიოტცე), კავშირი ამ ორ „ძლევაი საკვირველს“ შორის ზედაპირზე დევს.

„ბაიერნი“ — „პორტუ“ 6:1 (5:0)
(პირველი მატჩი 1:3)
გოლები: ლევანდოვსკი — 2, ალკანტარა, ბოატენგი, მიულერი, ალონსო; მარტინესი.

რაც შეეხება „ბარსელონას“, კატალონიური გრანდი მეთერთმეტედ (მათ შორის მეექვსედ — ზედიზედ) გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, რაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის რეკორდია. დავძენთ, რომ „პარი სენ-ჟერმენს“ საპასუხო მატჩში იბრაჰიმოვიჩი დაუბრუნდა, თუმცა, „კამპ ნოუზე“ პარტნიორთა მსგავსად ისიც უფერულად გამოიყურებოდა.

„ბარსელონა“ — „პსჟ“ 2:0 (2:0).
(პირველი მატჩი 3:1)
გოლები: ნეიმარი — 2.

გიორგი შოთაძე

◎ ხელბურთი

ბარსელონა - კელცე, კილი - ვესპრემი

ხელბურთის ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალის წილისყრამ გამოავლინა ნახევარფინალური წყვილები. 30 მაისს კიოლნში ითამაშებენ ბარსელონა-კელცე, კილი — ვესპრემი.

ფინალი იქვე ლანქსნეს არენაზე გაიმართება 31 მაისს. 20-ათასიან დარბაზში ბილეთების 90 პროცენტი გაყიდვის დაწყებისთანავე, ნოემბერში გასაღდა. დარჩენილია მხოლოდ 2000 სარეზერვო ბილეთი, რომლებიც კლუბებს დაურიგდებათ. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ხუთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი კიოლნის ლანქსნეს არენასთან - ფინალური ოთხეულის ტურნირი აქ 2020 წლამდე გაიმართება.

გაირკვა, რომ შოთა თევზაძისა და ვლადიმერ რუსიას კლუბს, ოდორჰეის, ჩელენჯ კაპის პირველი ფინალური მატჩი პორტუგალიის ბრაგასთან სტუმრად ექნება - 16 ან 17 მაისს. საპასუხო შეხვედრა რუმინეთში ერთი კვირის შემდეგ გაიმართება. სხვათა შორის, ნახევარფინალში ოდორჰეისგან ორგზის ძლეულმა ლისაბონის ბენფიკამ მეორე მატჩის შედეგი გააპროტესტა. საჩივარი საапელაციო კომისიამ უნდა განიხილოს და ფორმალურად მხოლოდ ამის შემდეგ დადასტურდება რუმინული კლუბის ფინალისტობა.

ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი, კიოლნი, 30-31 მაისი.

ბარსელონა (ესპ) — კელცე (პოლ), კილი (გერ) — ვესპრემი (უნგ).

EHF თასი. კაცები. ოთხთა ფინალი. 16-17 მაისი, ბერლინი.

ველენიე (სლნ) — ფუხსე ბერლინი (გერ), სკიერნი (დან) — ჰამბურგი (გერ).

ჩელენჯ კაპი. კაცები. ფინალი. 16/17-23/24 მაისი.

ბრაგა (პორ) — ოდორჰეი (რუმ).

ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი, ბუდაპეშტი, 9-10 მაისი.

ლარვიკი (ნორ) — ვოლგოგრადი (რუს), ვარდარი (მკდ) — ბუდუჩნოსტი (მნტ).

EHF თასი. ქალები. ფინალი. 3-9 მაისი, ბერლინი.

ჰოლსტებრო (დან) — როსტოვი (რუს).

ჩელენჯ კაპი. ქალები. ფინალი. 2-9 მაისი.

შჩეცინი (პოლ) — ბეგლი (საფ).

თასების მფლობელთა თასი. ქალები. ფინალი. 2-10 მაისი.

ფლური ლუარე (საფ) — მიდტიულანდი (დან).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ავტოსპორტი

ფეტელს ჯარიმა ელის

ბაჰრეინის დიდი პრიზის მეორე თავისუფალი პრაქტიკის დროს სებასტიან ფეტელსა და სერხიო პერესს შორის მცირე ინციდენტი მოხდა — „ფერარის“ პილოტი პიტლეინიდან ტრასაზე ბრუნდებოდა, როცა პირველ მოსახვევში შესვლისას მექსიკელთან მცირე შეჯახება მოუვიდა. როცა პერესმა მოხვევა სცადა, ფეტელის მანქანა ცხვირით მისი „ფორს ინდიას“ უკანა მარჯვენა ბორბალს დაეჯახა. მაშინვე ფეტელმა თავის ბოქსს რადიოთი უთხრა, მუხრუჭებში პრობლემააო.

მოკლედ, სტიუარდებმა შემთხვევა განიხილეს და გადაწყვიტეს, რომ მომხდარში ბრალი არავის მიუძღვის. მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ინციდენტის მიზეზი „ფერარის“ მუხრუჭები კი არა, შესაძლოა მის მანქანაზე ცუდად დამაგრებული ბორბალი ყოფილიყო. და თუ ეს დამტკიცდა, მაშინ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს და მის გუნდს მანქანის გაუმართავ მდგომარეობაში ტრასაზე გამოყვანის გამო ჯარიმა ელის.

საკითხს FIA საკვალიფიკაციო რბოლის დაწყებამდე განიხილავს. პრაქტიკების დროს მანქანის გაუმართავ მდგომარეობაში ტრასაზე გამოყვანის საკითხთან მიმართებაში FIA-ს მკაცრი მიდგომა აქვს, რადგან პრაქტიკებისას გუნდები ექსტრემალურ სიტუაციაში არ მუშაობენ და მათ მიერ ბორ-



ბლების შეცვლაზე მეტი დროის დახარჯვა პილოტის სატურნირო მდგომარეობაზე და რბოლის შედეგზე უარყოფითად არ მოქმედებს. ასეთი ინციდენტებისას დამნაშავის დაფიქსირების შემდეგ სტიუარდები პილოტებს სტარტზე უკან დაწევით აჯარიმებენ. ამასთან, ადგილების რაოდენობა ინდივიდუალურად წყდება.

მსგავსი ინციდენტი ფეტელს ავსტრალიაშიც შეემთხვა. ერთ-ერთ მეტოქე გუნდში თვლიან, რომ სიტყვებს „მუხრუჭების პრობლემა“ ამ შემთხვევაში კოდური დანიშნულება აქვს და ცუდად დაყენებულ ბორბალს ნიშნავს. სწორედ ამ სიტყვების გამო დაეჭვდნენ სტიუარდები, რომ ფეტელის მანქანაზე ბორბალი ცუდად იყო დამაგრებული და ინციდენტიც ამან გამოიწვია.

რაც შეეხება თვით ბაჰრეინის გრან-პრის, იგი ბრიტანელმა ლუის ჰამილტონმა მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ იგი ოთხი ეტაპის ჯამში სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა.

კოგა კოგახიძე

◎ ახალ ამპლუაში

ვიქტორია ჩმილიტე ჭადრაკისთვის ვეღარ მოიცლის

ცნობილი ლიტველი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, ევროპის ექს-ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე თავისი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო სეიმის დეპუტატი გახდა.

ვიქტორია ჩმილიტე ლიტვის პარლამენტში ლიბერალური პარტიის სიით მოხვდა, რომელიც ოპოზიციაში იმყოფება. იქაური სეიმის 141 წევრიდან 11 ლიბერალური პარტიის წარმომადგენელია.

ჩმილიტემ პრესასთან საუბარში განაცხადა: „მე ვმონაწილეობდი ლიტვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ლიბერალური პარტიის სიით პარლამენტის მიღმა დარჩენილი კანდიდატებიდან რიგით მეორე ვიყავი. პარლამენტში ჩვენი პარტიის ერთმა წარმომადგენელმა ევროპარლამენტში არჩევნები მოიგო, მეორე კი რამდენიმე კვირის წინ ქალაქ ვილნიუსის მერი გახდა. ამიტომ მივიღე პარლამენტში მუშაობის უფლება“.

ჩმილიტემ ფიცი უკვე დადო და დეპუტატის დამადასტურებელი მანდატიც მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ვიქტორია ჭადრაკისთვის, როგორც პროფესიონალი, ვეღარ მოიცლის, რადგან ისეთ მოწესრიგებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც ლიტვაა, პარლამენტში საქმე თავზესაყრელია.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკს ჯასტინ ბიბერი ეფანცქვალება

უკვე ვწერდით, რომ კრიშტიანუ რონალდუსთან დაშორების შემდეგ ცნობილ მოდელს ირინა შეიკს პოპულარული თუ ნაკლებად პოპულარული მამაკაცების რიგი დაუდგა და ამ უშხვართესი გოგონას საწოლში შეთრევას ისეთი ხალხიც კი ცდილობს, რომლებიც აქამდე ამაზე ალბათ ვერც იოცნებებდნენ.



პოპულარული ახალგაზრდა მომღერალი ჯასტინ ბიბერი სულ რაღაც გუშინ გაეყარა სიჭაბუკეს და უკვე ისე „გათავხედდა“, რომ ირინა შეიკს ეკურკურება და უფრო მეტიც — ჯასტინს იმედი აქვს, რომ ამ რუსთათარ გოგოს ისე მოხიბლავს, რომ უამრავი თაყვანისმცემლებიდან ირინა მაინცდამაინც მასზე შეაჩერებს არჩევანს.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ საზეიმო ბანკეტზე ახლახანს 21 წლის მოყრილი ჯასტინ ბიბერი საქვეყნოდ და დაუფარავად ეფანცქვალებოდა ირინა შეიკს და მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს დიდი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია, ჯასტინი ჯიუტად აგრძელებდა თავისას. აბა, რა უნდა თქვა ამ ამბავზე? „ოდეს ტურფა გაიაფდესო“ — უთქვამს შოთას...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სახელმძღვანელო ჯარისკაცებისთვის

ფსიქოლოგიის როლი სამხედრო საქმეში

ქართული ჯარი ვითარდება, მაგრამ ამის პარალელურად, ნაკლებად ვითარდება სამხედრო ლიტერატურა, რომელიც ჯარისკაცებს თეორიულ ცოდნას გაუღრმავებს. ამ ფონზე მისასალმებელია ახალი წიგნის გამოცემა — „ფსიქოლოგიის როლი სამხედრო საქმეში“, რომელიც ფსიქოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა თამარ ბაკურაძემ შესთავაზა საზოგადოებას.



„საზღვარგარეთის ქვეყნებში და ასევე ჩვენს ლიტერატურაში შექმნილია შრომები, რომლებიც ეძღვნება პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევის პრობლემას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მცირეა ფუნდამენტური შრომები, რომლებიც ახსნიან პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევის არსს სამხედრო სპეციალობაში და გააშუქებენ მის პრინციპულ საკითხებს. ამ პრობლემის კვლევა მოითხოვს მისდამი კომპლექსურ მიდგომას. მართალია, იგი ჩვენს წინაშე დგას, როგორც ფსიქოლოგიური პრობლემა, მაგრამ მისი გადაწყვეტისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პედაგოგიკის, სოციოლოგიის, მედიცინის, სამხედრო სპეციალობის საფუძვლების ცოდნა“, — წერია შესავალში. წიგნში მოცემულია ისეთი საინტერესო საკითხები, როგორიცაა განწყობის როლი პროფესიის არჩევაში, პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური მომზადება, ნიშანთა სისტემა სამხედრო საქმეში, მეომრის ხასიათის თავისებურებანი და ა. შ.

თამარ ბაკურაძეს მრავალწლიანი გამოცდილება აძლევს იმის საფუძველს, რომ ღრმა ანალიზი გაუკეთოს ყველა ამ საინტერესო თემას და ჯარისკაცების ფსიქოლოგიურ მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ის 1978 წლიდან აქტიურად მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო აკადემიაში, სხვადასხვა უნივერსიტეტში, სწორედ ფსიქოლოგიის მიმართულებით და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე აქვს ყოველი თეორიული მასალა მომზადებული. გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა 30-ს სცილდება. გამოცემული აქვს 2 მონოგრაფია: „სამხედრო ფსიქოლოგია“ (1999 წ.) და „მუსიკის სემანტიკური მნიშვნელობის ფსიქოლოგიური დახასიათება“ (2006 წ.). უნდა ითქვას, რომ თამარ ბაკურაძის მეორე სპეციალობა ხელოვნებაა. მას დამთავრებული აქვს თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით. თუმცა, მისი ძირითადი პროფესია ფსიქოლოგიაა და ამ მიმართულებით წარმართა კიდეც საქმიანობა. „ფსიქოლოგიის როლი სამხედო საქმეში“ საინტერესო სახელმძღვანელოა. წიგნის რედაქტორია ლ. მილდიანი. ცნობილია, რომ ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერება გახდა. ამდენად, ეს წიგნიც თავის სათქმელს ზუსტად ამბობს...

თეა მოსია

◎ იაპონური იგავი

როგორ მოვიქცეთ, როდესაც გვლანძღავენ?

იაპონიის ერთ-ერთ სოფელში მოხუცი სამურაი ცხოვრობდა. ჰყავდა უამრავი მოსწავლე და დროის უმეტეს ნაწილს მათ წვრთნაში ატარებდა. ერთხელ, ვარჯიშის დროს მასთან მივიდა ახალგაზრდა მეომარი, რომელსაც იმ მხარეში განსაკუთრებული უხეშობითა და სისასტიკით იცნობდნენ.

მისი საყვარელი მეთოდი მოწინააღმდეგის ნერვებზე თამაში იყო, რითაც მწყობრიდან გამოჰყავდა ისინი. განრისხებული ადამიანები მას ორთაბრძოლაში იწვევდნენ, მაგრამ ბრაზისგან დაბრმავებულნი შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ და მარცხდებოდნენ.

ამ ახალგაზრდამ მოხუცის დაცინვა და ლანძღვა-გინებაც დაიწყო. აფურთხებდა, უძლურს, მშიშარასა და ლაჩარს უწოდებდა. მოხუცი არაფერს იმჩნევდა და მშვიდად აგრძელებდა მოსწავლეებთან მუშაობას. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და იქაურობა გაღიზიანებულმა დატოვა.

მოსწავლეები გააოცა მოხუცი სამურაის მოთმინებამ — მან ხომ ამდენი შეურაცხყოფა აიტანა, ამიტომ ჰკითხეს:

— რატომ არ გამოიწვიეთ ეს თავხედი ორთაბრძოლაში? ნუთუ დამარცხების შეგეშინდათ?

მოხუცი სამურაი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ კითხვითვე მიუგო:

— თუ თქვენ საჩუქარს მოგიტანენ, მაგრამ მას არ აიღებთ, მაშინ ვის დარჩება ეს საჩუქარი?

— რა თქმა უნდა, იმას, ვინც მოგვიტანა, თუ სხვას არ მისცა, — უპასუხეს მოსწავლეებმა.

— იგივე ხდება ლანძღვა-გინების, შურის, ბოღმისა და სიძულვილის შემთხვევაშიც. სანამ თქვენ არ მიიღებთ მათ, რჩება იმასთან, ვინც ისინი მოიტანა.

მოამზადა
თეონა რამაზაშვილმა
„პრესა.ჯი“

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87; 568 82-09-84..

გახსენება

იური კაკავა

ოცდაორი წელი გავიდა, რაც დევნილის (ლტოლვილის) სტატუსს ვატარებთ საკუთარ სამშობლოში. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ჩვენი თანამემამულის სული ერთმანეთის მიყოლებით გადავიდა ზეციურ საქართველოში, ხოლო მათი ნეშტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის თუ კუთხის მიწამ მიიბარა. სად არ იხილავთ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საფლავებს, თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში გახსნილია ე.წ. ლტოლვილთა სასაფლაოები. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, „გაუმართლა“ ბ-ნ **იური კაკავას** — იგი დაიკრძალა სამეგრელოს შუაგულში, ზუგდიდში, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში და ერთი წელიც მიიწურა უკვე, რაც ჩვენს შორის აღარ არის.

წავიდა და დატოვა მოუშუშებელი ტკივილი და მონატრების განცდა. 77 წელი იცხოვრა მხოლოდ. ეს, შეიძლება ითქვას, ცოტა არ არის, მაგრამ არც ისე ბევრია. აქედან, 21 წელიწადი საკუთარ კერიას იყო მოშორებული. სახლში დაბრუნების დაუოკებელმა სურვილმა და მოლოდინმა თავისი დაღი დაამჩნია მის ჯანმრთელობას.

გალის რაიონის სოფ. პირველ გალში (ერთხანს კონსტიტუციას რომ უწოდებდნენ), გერასიმე კაკავას ოჯახში, 1936 წელს, ვაჟი რომ გაჩნდა, იური დაურქმევიათ.

ქ. გალში მიიღო საშუალო განათლება, ხოლო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია მიენიჭა ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. მას, არა მარტო გალის რაიონსა და აფხაზეთში, არამედ მთლიანად საქართველოში, საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდებოდა, იმდენად ახლობელი და ცნობილი პიროვნება გახლდათ. მისი გვარისა და სახელის ხსენება ადამიანებში ღიმილსა და კეთილგანწყობას იწვევდა.

მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა თანდათან ამდიდრებდა მის ბიოგრაფიას. წლების განმავლობაში მუშაობდა გალის რაიონის სოფ. სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგროტექნიკოსად, აგრონომად, ეკონომისტად; სოფლების — ჩხორთოლისა და თაგილონის კოლმეურნეობების თავმჯდომარედ, ფიჩორის ეთერზეთების მეურნეობის დირექტორად, გალის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, პარტიის გალის რაიკომის მდივნად, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანების განყოფილების უფროსად. დევნილობის დროს, 1994-1999 წლებში მუშაობდა სამეგრელოს რეგიონში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო მრჩევლად, ხოლო მერე აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლად.

როგორც ჩანს, მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში მას რაიონში მაღალი თანამდებობები ეკავა. იგი იყო შრომისმოყვარე, ერუდირებული, პასუხისმგებლობით აღსავსე, ბუნებისგან საოცარი იუმორის გრძნობაც ჰქონდა მომადლებული. მასთან მუშაობა ცხოვრების აკადემია იყო, ხოლო მოლხენა ერთი სიამოვნება. უყვარდა ანეკდოტების მოყოლა, სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურების პაროდიებსაც მშვენივრად ართმევდა თავს. ნიჭიერი კაცი ბრძანდებოდა ბ-ნი იური. თურმე, ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერდა ხოლმე, რამდენიმე მოთხრობა და ნოველაც აქვს გამოქვეყნებული, პუბლიცისტი ხომ იყო და იყო. ასე რომ, მისი მრავალმხრივი პრაქტიკული ნაღვაწი, ალბათ, დიდხანს დარჩება მოსაგონრად მომავალ თაობებს.

ალბათ, დევნილობის მძიმე პერიოდმა უბიძგა ბ-ნ იურის, რომ 2005 წელს გამოეცა 500-გვერდიანი წიგნი „ტრაგედია“. ამ ნაშრომით მან არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი სათქმელიც გააჟღერა. პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია ერთ წიგნად შეკრა და სამსჯავროზე გამოიტანა. ღმერთმა უწყის, შეიძლება მას წინაგრძნობა კარნახობდა, აბა რა ძალამ დააწერინა თერთმეტი წლის წინათ, ეს ლექსი, რომელსაც „ანდერძი“ დაარქვა:

როს მოვკვდები, ჩემს საფლავზე
სიცოცხლეში მუდამ ვფიქრობ,
სხვა მიწა არ დამაყაროთ,
სხვა მიწას მე ყნოსვით ვიგრძნობ.

ძირძველ მიწის შვილი ვარ და
მის ცვარ-ნამს და ორთქლსაც ვიცნობ.
მისი ძარღვის შვილი ვარ და
მშობელ მიწამ დამამიწოს.

ღვთის კურთხეულს აღარ დავთმობ,
თუნდაც ერთი გოჯი იყოს.
ათი წელი მაშორებს და
საუკუნეს ვითვლი თითქოს.

ტკბილია და მეტად თბილი,
დედის მკერდი იყოს ვითომ.
მშობელ მიწას ჩავეკვრები,
საძვალეა ჩემი მიტომ!

დიახ, ბატონებო, ოჯახმა და მეგობრებმა მას თხოვნა აუსრულეს. დასაფლავების დღეს გულზე მოაყარეს გალიდან, მისი ეზოდან ჩამოტანილი მიწა და ამ მიწას ჩახუტებული ერთი წელია, მშვიდად განისვენებს.

კარგად ვიცნობდი, ვცხოვრობდი მის სახლთან ახლოს, დამთავრებული გვქონდა ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სხვადასხვა სპეციალობით, პარტიის გალის რაიონულ კომიტეტში მისი მდივნობის დროს და გალის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობის პერიოდშიც მიმუშავია მასთან ერთად. დევნილობის დროსაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩემს მეორე წიგნზე, „ოჯახი და ენერგეტიკა“ მუშაობისას, სასარგებლო კონსულტაციას მიწევდა. მისი ბევრი რჩევა-დარიგება მახსოვს, ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ამ გაზეთის მეშვეობით, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა იური კაკავას სახელი.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი: ამას წინათ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წალენჯიხის კოლორიტი პიროვნების, საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევის დეპუტატის, ბატონი ვალერი ჭანტურიას სტატია „კაცისა ჰქონდა ყველა თვისება“, სადაც იგი ძალიან თბილად იხსენებს გალისა და აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს, გალის რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს, აწ განსვენებულ ნიკოლოზ აქვსენტის ძე თოდუას. სტატიის წაკითხვის შემდეგ დავურეკე ბ-ნ ვალერის და ჩემი თანაქალაქელების სახელით მადლობა გადავუხადე დიდი პიროვნებისა და დამსახურებული ადამიანის მოგონებისათვის. მაშინ იური კაკავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამას ჩემზე უკეთესად გააკეთებდა.

ბ-ნი იური კაკავას გარდაცვალებამ გული დასწყვიტა არა მარტო მის ქალაქსა და რაიონს, არამედ მთელ ზუგდიდს, სადაც იგი 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ნუგზარ სართანია
გალი-ზუგდიდი.

◎ კრიმინალი

შპს „შემოქმედმშენის“ და შპს „ჯორჯიან კომპანის“ დირექტორები დააკავეს

ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის ფაქტზე, შპს „შემოქმედმშენის“ დირექტორი გია შილაკაძე და შპს „ჯორჯიან კომპანის“ დირექტორი ვალერიან კაკურია დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დადგენილია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „შემოქმედმშენი“, რომელთანაც 2014 წლის 11 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

„2014 წლის 12 ივნისს კი აღნიშნული სამუშაოების შესრულება შპს „შემოქმედმშენმა“ თავის მხრივ დაუკვეთა შპს „ჯორჯიან კომპანის“. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით დგინდება, რომ აღნიშნული კომპანიების მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება გაცილებით ნაკლებია გამგეობისთვის წარდგენილ აქტებში ასახული სამუშაოების ღირებულებაზე. შესაბამისად, ბრალდებულებმა ამ გზით მიითვისეს სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი სახსრები“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

მათივე ცნობით, ასევე დადგენილია, რომ ტენდერის დროს კომპანიის გამოცდილების დასადასტურებლად, ბრალდებულებმა შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე ატვირთეს ყალბი ინფორმაცია, თითქოსდა 2012 წელს შესრულებული ჰქონდათ ანალოგიური ტიპის, 250 000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

◎ ჩვენი კარაბადინი

ვმკურნალობთ გულს

რა უკეთესია – აბები თუ ოპერაცია?

უკანასკნელ წლებში გვარწმუნებენ, რომ გულის სისხლძარღვებში სტენტების დაყენებას გულის იშემიური დაავადების მკურნალობის დროს არა აქვს ალტერნატივაო. ასეა ეს?

მიღებულია დამაჯერებელი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ იმის შესახებ, რომ ამ დაავადებათა წამლებით მკურნალობა შეიძლება აღმოჩნდეს არანაკლებ ეფექტიანი, ამბობს ცნობილი კარდიოლოგი, პროფესორი, მოსკოვის სახელმწიფო სამეცნიერო-სტომატოლოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგე და სწავლული მდივანი იური ვასიუკი.

ვუმკურნალოთ ყველას?

– ამასთან დაკავშირებით მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსიები, მაგრამ ახლა უკვე ცხადია: გულის სისხლძარღვებში სტენტების დაყენება, დავიწროებული რომაა ათეროსკლეროტული ცვლილებებით, და ანგიოპლასტიკა – ამავე სისხლძარღვთა გაფართოება ბალონებიანი სპეციალური კათეტერების დახმარებით, არ აღმოჩნდა ისეთი ეფექტური, როგორც ადრე ვარაუდობდნენ. ამ მეთოდებს ისე აქტიურად ნერგავდნენ გულის იშემიური დაავადების ავადმყოფების მკურნალობაში, რომ ასეთი ხუმრობაც კი გაჩნდა: სტენტის დაყენებისთვის მაჩვენებელი კორონარული არტერიის არსებობაა. ასე უწოდებენ სისხლძარღვებს, რომლებიც გულს სისხლით ამარაგებენ.



ბოლო წლებში მოეწყო შვიდი დიდი და სერიოზული გამოკვლევა, რომლებშიც დაახლოებით 10 ათასი პაციენტი მონაწილეობდა. მათი ნახევარი იყო ასეთი ოპერაციების შემდეგ, მეორე ნახევარს წამლების საშუალებით მკურნალობდნენ. და აღმოჩნდა, რომ სტენოკარდის შეტევების სიხშირე და გარდაცვალებათა რიცხვი ორივე ჯგუფში არ განსხვავდებოდა. მკურნალობის დაწყების შემდეგ მხოლოდ პირველ ორ წელიწადში გულის შეტევები წამლებზე იყო ოდნავ უფრო მეტი, შემდეგ კი ყველაფერი თანაბრდებოდა. და არანაირი სხვაობა, დაუყენეს ავადმყოფს სტენტი თუ ის მხოლოდ წამლებს ღებულობს, არაა.

თუმცა, აქ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ საკითხი შეეხება წამლებით სწორ მკურნალობას. ასეთ ავადმყოფებთან დაკავშირებით არის სპეციალური რეკომენდაციები. რომლებიც დამუშავებულია სერიოზული კვლევების საფუძველზე. და პრეპარატების გამოწერა საჭიროა მათ შესაბამისად. ჯერ ერთი, ერთბაშად ნიშნავენ რამდენიმე წამალს, რომლებიც გავლენას ახდენენ დაავადების სხვადასხვა უბნებზე. მეორეც, ისინი უნდა მივიღოთ ყოველდღიურად, მუდმივად და ეფექტიანი დოზებით. გაზრდილი რისკის პაციენტებისთვის, რაც ერთბაშად რამდენიმე დაავადების არსებობის დროს ხდება, წამლების დოზები უნდა იყოს მაქსიმალურთან მიახლოებული.

– ოპერაციის შემდეგ ასეთი წამლები აღარაა საჭირო?

– არის პაციენტებს შორის ისეთი დაბნეულობა, რომ სტენტის დაყენების შემდეგ წამლები შეიძლება აღარ მივიღოთ. ეს მითია. ისინი გვჭირდება აუცილებლად, სტენტი ხომ თავიდან არ გვაცილებს დაავადებას, იგი მხოლოდ აფართოებს სისხლძარღვს, თავად ათეროსკლეროზი კი რჩება – დაავადების მექანიზმები, რომლებიც სისხლძარღვების დაზიანებას იწვევენ, მუშაობენ. წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა: ათეროსკლეროზით დაავადებულს გადაუნერგეს გული ჯანმრთელი ახალგაზრდა დონორისაგან. და აი, რამდენიმე წლის შემდეგ გადანერგილი ჯანსაღი გულის სისხლძარღვებში წარმოიქმნება ათეროსკლეროზული ბალთები. და ამიტომ ავადმყოფებმა სტენტებით აუცილებლად უნდა მიიღონ პრეპარატები: შეამცირონ ათეროსკლეროზი სტატინების დახმარებით, იქონიონ წნევა ნორმაში ჰიპერტონული პრეპარატების მიღებით, და თავიდან აიცილონ თრომბების წარმოქმნა ისეთი წამლებით, რომლებიც აქვეითებენ სისხლის შედედებას. და ზუსტად იგივე პრეპარატებს უნიშნავენ გულის იშემიური დაავადების დროს.

უფრო მეტიც, პირველ წელს ოპერაციის შემდეგ წამლები უფრო მეტიც კია საჭირო – ამ დროს თრომბების პროფილაქტიკისთვის უნდა მიიღო პრეპარატები მოქმედების სხვადასხვა მექანიზმებით. ესაა, როგორც მინიმუმი, იაფი ასპირინი და რომელიმე სხვა პრეპარატი, რომლებიც გაცილებით ძვირი ღირს. ამას დაუმატეთ ხარჯები ოპერაციაზე, და ასეთი მიმდინარეობის ღირებულება იქნება გაცილებით მეტი, ეფექტიანობა კი ერთნაირია.

ვის სჭირდება ეს

– გამოდის, რომ სტენტები საერთოდ არაა საჭირო?

– საჭიროა, მაგრამ მათი დაყენება უნდა მოხდეს მკაცრად მაჩვენებლების მიხედვით. მიოკარდიუმის ინფარქტის, მწვავე კორონარული სინდრომის (ეს გულის იშემიური დაავადებაა) დროს ისინი რეალურად უნარჩუნებენ სიცოცხლეს ბევრ ადამიანს. მაგრამ, როგორც გამოკვლევებმა აჩვენეს, გულის ქრონიკული იშემიური დაავადებისას შემთხვევების 40 პროცენტის დროს შეიძლებოდა იმათთვის გვერდი აგვევლო.

როდის სჭირდებათ ისინი ასეთ ავადმყოფებს? აი, წარმოიდგინეთ: შევიწროებული სისხლძარღვი ცუდად ამარაგებს გულის კუნთოვან უჯრედებს და ისინი უკვე აღარ მცირდებიან – ჯერ კიდევ ცოცხლობენ, თუმცა, უკვე ვეღარ ასრულებენ თავის ფუნქციას. ამას ჰიბერნაციას უწოდებენ. ასეთ ავადმყოფებს სტენტი შეიძლება დაეხმაროს. ხოლო თუ უჯრედები უკვე დაიღუპნენ და შეცვლილი არიან შემაერთებელი ქსოვილებით, რაც ძალიან ხშირად ხდება, იგი უსარგებლო იქნება. და მისი დაყენება ასეთი პაციენტებისათვის – ეს ფულის გადაყრას ნიშნავს. ამიტომ პაციენტებმა სტენტების დაყენების წინ უმჯობესია, გაიარონ სპეციალური გამოკვლევა, რათა გავიგოთ – აქვთ თუ არა მათ ჰიბერნაციის ზონები. და საერთოდ, მსოფლიოში უკვე მიღებულია, რომ გადაწყვეტილებას სტენტების დაყენების შესახებ ღებულობს ექიმთა გუნდი, და არა მხოლოდ ის, ვინც ოპერაცია უნდა გააკეთოს. ამჟამად ასეთი მკურნალობისათვის დამუშავებულია მკაცრი რეკომენდაციები. ამგვარ მიდგომას თანდათანობით ამუშავებენ ჩვენთანაც.

ალექსანდრ მელნიკოვი

ЗДОРОВЬЕ

◎ ტესტი

რომელი ცხოველი ხართ?

ტესტი დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ რომელ ცხოველს ჰგავხართ, და ამავე დროს გაარკვიოთ, ვინ შეიძლება გახდეს თქვენი მეგობარი ან საყვარელი ადამიანი.

1. თქვენი სამუშაო დაკავშირებულია...
ა) შემოქმედებასთან;
ბ) ადამიანებთან;
გ) მომსახურების სფეროსთან;
დ) ბიზნესთან;
ე) ციფრებთან;

2. დასვენება თქვენ ყველაზე მეტად გიყვართ:
ა) პლაჟზე წოლის დროს;
ბ) ტურისტულ მოგზაურობებში;
გ) ბუნებაში კარავში;
დ) მთებში;
ე) ეგზოტიკურ ცხელ ქვეყნებში.

3. ჭამაში უპირატესობას ანიჭებთ:
ა) რძის პროდუქტებს;
ბ) ხორცს;
გ) ხილსა და ბოსტნეულს;
დ) ცომეულს;
ე) რაც არის, იმას ჭამთ.

4. ახლო ნაცნობებთან შეხვედრის დროს თქვენ:
ა) კოცნით მას;
ბ) მაგრად ართმევთ ხელს ან ეხვევით;
გ) ერთმანეთს მხარზე ურტყამთ ხელს;
დ) ახდენთ ჟესტიკულირებას;
ე) ემზადებით ისე მიესალმოთ მას, როგორც თავად იგი აკეთებს ამას.

5. როგორ გიყვართ ყველაზე მეტად ბანაობა?
ა) შხაპის ქვეშ;
ბ) აბაზანაში;
გ) აბანოში;
დ) მდინარეში;
ე) ადვილად შეგიძლიათ, იკმაროთ სველი ხელსახოცი.

6. თქვენ ჩაის სმა გიყვართ:
ა) ლამბაქით;
ბ) ჭიქით;
გ) დიდი ტოლჩით;
დ) კოვნით;
ე) პატარა ფინჯნით.

7. ჩაცმა ყველაზე მეტად გიყვართ:
ა) ლოგინის ტონებში;
ბ) მკაფიო, ერთფეროვნისა;
გ) კონტრასტულის;
დ) მყვირალა ფერისა;
ე) შეუმჩნეველი ფერებისა.

დაიანგარიშეთ, რომელი ასო ჭარბობს თქვენს პასუხებში, და გაეცანით დასკვნებს

ასო „ა“. კატა. თქვენ ხართ რბილი ადამიანი და გიყვართ კომფორტი, აფასებთ დამოუკიდებლობას და იშვიათად აძლევთ უპირატესობას ერთ პარტნიორს. კავშირისთვის შეგეფერებათ კატა, ობობა და, რამდენადაც ეს უცნაური არ უნდა იყოს, ძაღლი.

ასო „ბ“. ძაღლი. თქვენ გაქვთ უნარი, გამოიჩინოთ სიჯიუტე საქმეებში, თქვენ გარემოცვას კი მიაჩნიხართ ადამიანად, რომელსაც შეიძლება ენდო, განსაკუთრებით რთულ სიტუაციებში. თქვენი მეგობარი ცხოველებია – ძაღლი, ცხვარი, ფრინველი და კატა.

ასო „გ“. ცხვარი. თქვენ ხართ კეთილი და საერთოდ უანგარო, მაგრამ ამასთან ერთად თქვენთვის არსებობს საფრთხე, აღმოჩნდეთ შულერების ან იმ ადამიანთა ანკესზე, რომელთა გრძნობებიც და დამოკიდებულებაც თქვენდამი არც მთლად გულწრფელია. თქვენ შეგეფერებათ ცხვარი და ძაღლი.

ასო „დ“ ფრინველი. თქვენ „დაფრინავთ“ თქვენს ფანტაზიებში. გიყვართ თქვენდამი ყურადღების მიქცევა. აფასებთ ნდობას და მზრუნველობას. კავშირი ფრინველთან და ძაღლთან იქნება წარმატებული.

ასო „ე“ ობობა. თქვენ შეგიძლიათ, გაიანგარიშოთ ნაბიჯები და ზოგჯერ ინტრიგის ქსელის გაბმაც კი, და თანაც დარჩეთ ჩრდილში. თქვენ გაქვთ მახვილი გონება და ხშირად შეგიძლიათ მკაცრი ფხის გამოჩენაც, მთავარია, ეცადოთ, გამოიყენოთ ეს ყოველივე მშვიდობიანი მიზნებით. თქვენი პარტნიორები არიან – ობობა და კატა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ახალგათხოვილი ქალშვილი დედას ურეკავს:
– დედიკო, რა ვქნა, აღარ ვიცი – ამ ჩემს უმადურ ქმარს ისევ არ უნდა წიწიბურას ჭამა!
– ნუ ღელავ, შვილო, უბრალოდ აუხსენი რამდენი იწვალე მის მოხარშვაზე!
– ერიჰა, აბა, წიწიბურა თან უნდა მოიხარშოს კიდეც?!.

* * *

რით განსხვავდება მეფე პრეზიდენტისგან?
მეფემ იცის, რომ თუ ქვეყანას გაძარცვავს, მის შვილებს არაფერი არ დარჩებათ.
პრეზიდენტმა კი იცის, რომ თუკი ქვეყანას არ გაძარცვავს, მისი შვილები მშივრები დარჩებიან.

* * *

მშობლებმა პატარა შაქრო ვირთაგვის საკვების ჭამაზე წაასწრეს. მამა ხმამაღლა კითხულობს შემადგენლობას:
– ხორბალი, მუხუდო, სტაფილო, კარტოფილი, ვიტამინები A, B, D, E...

დედა ყურადღებით უსმენს და კითხულობს:
– ძვირფასო, ცოტა კიდევ ხომ არ მიგვეცა?!.

* * *

ქმარი ეუბნება ცოლს:
– იცი, ძვირფასო, მინდა, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შევცვალო...
– ამისათვის, პირველ რიგში, დივანიდან წამოდექი და ცხოვრებაში რამე სასარგებლო ერთხელ მაინც გააკეთე!
– რას ამბობ, დედაკაცო! მე ასე რადიკალურად კი არ მითქვამს!

* * *

არსებობენ ისეთი სულელები, რომ კაცს აუცილებლად ეჭვი შეგეპარება მათი სიშტერის ბუნებრივ წარმოშობაში. მათ აუცილებლად რაღაც დამატებითი განათლება აქვთ მიღებული!

* * *

მედიცინის სიახლენი:
მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შიმშილობა არა მარტო ხელს უწყობს წონის დაგდებას, არამედ საგრძნობლად ეხმარება მოშიმშილეს იპოთეკური სესხის გასტუმრებაში.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24